

ნაფიცი მსაჯულები
სისხლის სამართლის პროცესში



საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი
GNHR
Georgian Network for Human Rights
2016

ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი

GNHR

Georgian Network for Human Rights

2016



გამოცემულია ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

კვლევის ავტორები/სამართლებრივი მკვლევარები: თამარ შვანგირაძე, გვანცა ჩხაიძე

კვლევაზე პასუხისმგებელი: ლევან ყორყოლიანი

ექსპერტი: ნიკოლაი კოვალიოვი

რედაქტორი: დავით ჯანდიერი

ინგლისურიდან კვლევის მე–3 თავი თარგმნა ტატა ხუნწარიამ

საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი (GNHR)

ელ.ფოსტა: geonet_hr@yahoo.com

ვებგვერდი: www.gnhr.ge

ტირაჟი: 200

დიზაინი: შპს ბიარტი

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემაში ასახულია ა(ა)იპ “საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელის” მიერ, ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით, მომზადებული ანალიტიკური კვლევა “ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში” და დოქტორ ნიკოლაი კოვალიოვის¹ საექსპერტო მოსაზრება “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი”.

¹ ასოცირებული პროფესორი კრიმინოლოგიის საკითხებში, უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტი, ბრენტფორდი, კანადა. ელ-ფოსტა: nkovalev@wlu.ca

სარჩევი

1.შესავალი	5
1.1.კვლევის შესახებ.....	7
1.2.კვლევის მეთოდოლოგია.....	8
1.3.ძირითადი მიგნებები.....	9
2.ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციების მიმოხილვა	10
3.სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების ცალკეული ასპექტების შედარებითი ანალიზი	22
3.1.ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი.....	22
3.2.ნაფიც მსაჯულთა აცილების აკრძალვა დისკრიმინაციულ საფუძველზე.....	24
3.3.სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მოდელის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მსჯავრდებულისთვის სასჯელის განსაზღვრაში.....	25
3.4.ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.....	27
4.ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა საქართველოში	31
4.1.ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა.....	32
4.2.ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქართველოში განხილული საქმეები.....	35
4.3.ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის რეფორმირების მიზნით განხორციელებული აქტივობები.....	37
5.დასკვნა	41
6.რეკომენდაციები და წინადადებები	41

1. შესავალი

2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ფუნქციონირება დაიწყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, რომლის მიზანი იყო მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღება მოსამართლეებზე ხელისუფლების მხრიდან შესაძლო გავლენის შემცირებისა და საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლების გზით.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რომლის წინამორბედად ძველ საბერძნეთში დიკასტერეა, ხოლო რომში ტრიბუნალი მიიჩნევა, თავისი ისტორიული ფესვები საქართველოშიც აქვს. ხევსურეთის „რჯული“, რომელიც ძირითადად უხუცესთაგან შემდგარ სასამართლოს წარმოადგენდა, საქმეებს ძველი ადათ-წესების მიხედვით განიხილავდა. ამ ინსტიტუტს, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებისგან ინდივიდის დაცვის გარანტიებს ქმნის და რომლის დამკვიდრება ევროპაში ინგლისის მეფე ჰენრი მეორეს სახელს უკავშირდება, მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე. თუმცა, მისი ფორმალიზება რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში ვერ განხორციელდა და მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1919 წლის 17 იანვარს, მიღებული „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღების“ შესახებ კანონით, ნაფიცი მსაჯულები, 12 კაცის შემადგელობით, პირის ბრალეულობის საკითხს განიხილავდნენ. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე, განისაზღვრა, რომ „მძიმე სისხლის სამართლისა, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.“²

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის თავისებურებები ძირითადად ეფუძნება ანგლო-საქსურ მოდელს, რომლის მიხედვით, მსაჯულებად შემთხვევითი წესით შეირჩევა 12 მოქალაქე; პროცესს უძღვება ერთი პროფესიონალი მოსამართლე, თუმცა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ვერდიქტის გამოტანის ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ ნაფიც მსაჯულებს აქვთ³. ამასთან, ხსენებული მოდელისგან განსხვავებით, საქართველოში, სანქციის განსაზღვრაში ნაფიც მსაჯულთა როლი შეზღუდულია - ნაფიცი მსაჯულები იღებენ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციას, რომელსაც განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე. საქართველოს კანონმდებლობით არჩეულ ე.წ. ანგლო-საქსური მიდგომის მიხედვით, არ ხორციელდება მსაჯულთათვის შეკითხვების დასმა ვერდიქტის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით⁴. ვერდიქტის ფორმები (გამამართლებელი ან გამამტყუნებელი) მოიცავს მხოლოდ მშრალ, საქმისა და ბრალდებულის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას და გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, უდანაშაულოა თუ დამნაშავე

² 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 81.

³ ე.წ. „წმინდა ნაფიც მსაჯულთა მოდელი“-სგან განსხვავებით ე.წ. „შერეულ მოდელში“, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებთან ერთად მონაწილეობს ვერდიქტის გამოტანაში.

⁴ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მოდელში, რომელიც ესპანეთში მოქმედებს, ვერდიქტის დასაბუთება აუცილებელია.

პირი წარდგენილ ბრალდებაში.

2011 წლიდან დღემდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით, რომელიც თბილისის შემდეგ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ქუთაისშიც ამოქმედდა,⁵ მხოლოდ რამდენიმე პროცესი გაიმართა. იგი სამომავლოდ მთელ საქართველოს მოიცავს⁶. დღევანდელი მდგომარეობით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რამდენიმე კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეს იხილავს. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულთა კატეგორიის გაფართოვებას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით გამართული პროცესების დაკვირვების შედეგად რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა, რომელიც საქართველოში ამ ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ან ინსტიტუციურ-სამართლებრივ ხარვეზს წარმოაჩენს. ეს ხარვეზები საკანონმდებლო დონეზე საჭიროებს ახლებურ დარეგულირებას.

ნაფიც მსაჯულთა ქართული სისტემის ერთ-ერთ მთავარ დილემას ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებულობის საკითხი წარმოადგენს. მოქმედი რეგულაციით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, რის გამოც არც საზოგადოების და არც თავად ბრალდებულისთვის ნათელი არ არის გამართლების ან მსჯავრდების მიზეზები. ეს მიდგომა შეესაბამება თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მოთხოვნებს წინამდებარე კვლევაში გაანალიზდება.

2014 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილება, რათა დამატებითი რეგულაციები დადგინდეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთების კუთხით. ანალოგიურ მითითებას შეიცავს ეუთოსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ორივე ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს, რომ საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი სისტემის რეფორმირება, რომლის შედეგად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული ვერდიქტი დასაბუთდება და იგი შესაბამისობაში იქნება სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნებთან.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.330, ნაწ.3.

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილება პაკეტის მიხედვით, კოდექსს უნდა დაემატოს 21¹-ე მუხლი, რომელიც ადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას შემდეგნაირად: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იქმნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და რუსთავის საქალაქო, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. მათი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.“

მოქმედი კანონმდებლობის პრობლემურ რეგულაციებს შორის, შეიძლება, დასახელებული იქნას მოსამართლის შეზღუდული როლი მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრის საკითხში. პრობლემურია მთავრობის მიერ დაანონსებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის დახურვას, დისკრიმინაციული ნიშნით ნაფიც მსაჯულთა აცილების აკრძალვის გაუქმებას, ვერდიქტის გასაჩივრებას მტკიცებულებებთან შეუსაბამობის საფუძვლით და სხვა.

1.1. კვლევის შესახებ

წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია იმ გამონკვევებზე, რომლებიც თან ახლავს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირებას. მასში გაანალიზებულია ის საკითხები, რომლებიც უშუალო შემხებლობაშია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან. კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ორიენტირებულია არსებული კანონმდებლობის შესწავლაზე ადამიანის უფლებების ჭრილში, რა დროსაც გაანალიზებული იქნა საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების სპეციფიური მახასიათებლები. კვლევა ეხმიანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ცვლილებებთან დაკავშირებულ პაკეტს, რომელიც არ პასუხობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წინაშე არსებულ გამონკვევებს და მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავს.

კვლევის შედეგად გაანალიზდა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით გამოკვეთილი საკითხები, ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებასთან მიმართებით არსებული აქტუალური პრობლემები და შესაბამისად, მათ გადასაჭრელად ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი“-ს მიერ შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები.

კვლევაში სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების სრულად ასახვის მიზნით, ანალიზი მოამზადა ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი“-ს მიერ მონვეულმა უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის (ბრენტფორდი, კანადა) კრიმინოლოგიის ასოცირებულმა პროფესორმა, დოქტორმა ნიკოლაი კოვალიოვმა. საერთაშორისო ექსპერტმა, კვლევის ფარგლებში, შეისწავლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების ცალკეული ელემენტები, გაანალიზა ევროპასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მოქმედი მოდელების ძირითადი მახასიათებლები, წარმოაჩინა მათი დადებითი მხარეები, შეაფასა საქართველოში არსებული ინსტიტუტის თავისებურებები და გასცა ნაფიც მსაჯულთა სისტემის სრულყოფის მიზნით განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

წინამდებარე კვლევის შინაარსობრივი რედაქტირება მოახდინა და კვლევის წინათქმა მოამზადა სამართლის ექსპერტმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ დავით ჯანდიერმა. კვლევის შინაარსობრივმა რედაქტორმა თავისი მოსაზრებები და წინადადებები წარუდგინა ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელს“. სამართლის ექსპერტმა დავით ჯანდიერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პროექტის მკვლევარებთან⁷ ერთად ქვეყანაში მოქმედ რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ სამუშაო შეხვედრებში, სადაც დააფიქსირა საკუთარი ხედვა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია

ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელმა“ პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია დააყრდნო შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

- საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულ სხდომებთან, გამოტანილი ვერდიქტის ფორმებთან და სასჯელის შეფარდების რეკომენდაციებთან დაკავშირებით თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა/გაანალიზება;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმირების მიზნით მომზადებული ცვლილებათა პაკეტის შეფასება;
- სახელმწიფოს მიერ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმირების კუთხით გატარებული ღონისძიებების რელევანტურობისა და ეფექტიანობის ანალიზი;

⁷ სამართლებრივმა მკვლევარმა თამარ შვანგირაძემ, კვლევის ფარგლებში, გაანალიზა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციები, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვეროპის საბჭოს ერთობლივ მოსაზრებაში ასახული დასკვნები. ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები. სამართლებრივმა მკვლევარმა გვანცა ჩხაიძემ, კვლევის ფარგლებში, გაანალიზა ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ასევე, გაანალიზა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის რეფორმირების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობების რელევანტურობისა და ეფექტიანობის საკითხი. ამასთან, შეაფასა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმირების მიზნით მომზადებულ ცვლილებათა პაკეტი.

- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციების, ასევე, ეუთოსა და ევროპის საბჭოს ერთობლივ მოსაზრებაში ასახული დასკვნების ანალიზი;
- სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიმოხილვა;
- საერთაშორისო ექსპერტის - ნიკოლაი კოვალიოვის - მიერ სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა/ანალიზი;
- რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირების პროცესში გამოკვეთილი პრობლემატიკის განხილვის მიზნით.

1.3. ძირითადი მიგნებები

კვლევა წარმოაჩენს იმ კონკრეტულ საკითხებს, რომელთა ახლებური დარეგულირება მნიშველოვანია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირებისათვის. ის უკავშირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში როგორც არსებულ რეგულაციებს, ისე - ინიცირებულ ცვლილებებს. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

- ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი და სამოგადოების ნდობის გასამტკიცებლად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ნაფიც მსაჯულთა დისკრიმინაციული ნიშნით აცილების შესაძლებლობის გამორიცხვა;
- ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გამოტანის არსებული წესის შენარჩუნება;
- მოსამართლეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის შემუშავების საჭიროება, რომელშიც დეტალურად გაიწერება მოსამართლეების მიერ ნაფიც მსაჯულთათვის კონკრეტული განმარტებების მიცემის წესი;
- მოსამართლის სრული დისკრეციის გარანტირება ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის სახისა და ზომის შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებისას.

2.ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციების მიმოხილვა

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან მიმართებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები რეგლამენტირებულია არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში. საერთაშორისო სამართლის ისეთი წყაროები, როგორცაა გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი⁸ და ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“,⁹ ერთმნიშვნელოვნად განამტკიცებენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით განსაზღვრულია ის სტანდარტები, რომლებიც სასამართლო განხილვისას უნდა იქნეს დაცული. კერძოდ, „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე, თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.“¹⁰

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოცემული ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის როგორც ზოგად ვალდებულებას, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“,¹¹ ისე აკონკრეტებს მინიმალურ გარანტიებს სისხლის სამართალწარმოებისას.¹²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეულ ელემენტთან დაკავშირებით საქმეთა უმრავლესობის განხილვისას შესაბამისი სტანდარტი დაადგინა.

⁸ 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 14.

⁹ 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხ. 6.

¹⁰ 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 14, პუნ. 1.

¹¹ 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხ. 6, პუნ. 1.

¹² Ibid., პუნქ. 2 და 3.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები, სწორედ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლთან (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დაკავშირებით გამოტანილ საქმეებში აქვს განვითარებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დაწესებული სტანდარტების ილუსტრაცია ნათლად წარმოაჩენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტების შესაბამისობის აუცილებლობას კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები რამდენიმე კონტინენტური სამართლის ქვეყანაში (ნორვეგია, დანია, ბელგია¹³) მოქმედი სისტემის რეფორმირების საფუძველი გახდა¹⁴.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს (Council of Europe) 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ მოსაზრებაში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ“ ასახული რეკომენდაციები. მოცემულ ერთობლივ მოსაზრებაში ძირითადი რეკომენდაციის სახით მითითებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, გადაიხედოს ნაფიც მსაჯულთა ფუნქცია სასჯელის შეფარდების კუთხით ან მოსამართლეთა მონაწილეობა სასჯელის დასაბუთების პროცესში.¹⁵

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი 2014 წლის 19 აგვისტოს დასკვნით რეკომენდაციებში, საქართველოს მიერ წარდგენილი, პაქტის შესრულების შესახებ მეთხვეპერიოდულანგარიშთან დაკავშირებით აღნიშნავს¹⁶: კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკმარის გარანტიებს, რათა ბრალდებულს და საზოგადოებას შეეძლოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გააზრება. ამასთან სისტემა არ იძლევა გამამტყუნებელი ვერდიქტის

¹³ ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სისტემის რეფორმა განხორციელდა 1995 წელს, დანიაში 2008 წელს, ხოლო ბელგიაში 2009 წელს.

nb: http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Ffuridui%2Fshedarebiti_analizi.doc

¹⁴ „კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს“, nb. საქმე Ireland v. United Kingdom, Application no.5310/71, 18 January 1978, §154.

¹⁵ Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 28.

¹⁶ Concluding observations on the fourth periodic report of Georgia, United Nations Human Rights Committee, CCPR/C/GEO/CO/4, 19 August 2014, § 14.

შინაარსობრივი გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება პაქტის მე-14 მუხლს.¹⁷ ხსენებულ რეკომენდაციებში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დააფიქსირა: „სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის რეფორმირება ისე, რომ მოცემული სისტემა შეესაბამებოდეს პაქტის მე-14 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით უზრუნველყოფილ გარანტიებს“.

უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების დანაწესისამებრ, „მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთი საქმის განხილვაში, რომელთან დაკავშირებითაც მართებულად არის ეჭვქვეშ დაყენებული მისი მიუკერძოებლობა ამა თუ იმ საფუძველზე“.¹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალი შემთხვევა განუხილავს სასამართლოს მიუკერძოებლობის კუთხით. ევროპული სასამართლოს პოზიციით, „მოგადად მიუკერძოებლობა განიმარტება, საკმაოდ ლოგიკურადაც, ნეგატიური აზრით, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული აზრისანი მიუკერძოებლობის არქონა.“¹⁹ ხოლო, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუკერძოებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი: „სასამართლოს მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეებს არ უნდა გააჩნდეთ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი განსახილველ საკითხზე და არ უნდა მოქმედებდნენ ერთ-ერთი მხარის ინტერესების სასარგებლოდ.“²⁰

ბემოაღნიშნული მიდგომა განავითარა, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში – „კავშირი ნაფიც მსაჯულსა და ბრალდებულს ან პროკურორს შორის შეიძლება ჩაითვალოს მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის შესახებ დებულებების დარღვევად“.²¹

საქმეში „რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა: „დემოკრატიულ

¹⁷ 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 14.

¹⁸ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, 17 ივლისი 1998 წელი, მუხ. 41, პუნ. 2, ქვ. „ა“.

¹⁹ იხ. საქმე Piersack v. Belgium, Application no. 8692/79, 1 October 1982, § 30.

²⁰ იხ. საქმე Karttunen v. Finland, Communication No. 387/1989, U.N. Doc. CCRP/C/46/D/387/1989 (1992), § 7.2.

²¹ იხ. საქმე Holm v. Sweden, Application no. 14191/88, 25 November 1993. მოცემული საქმის თანახმად, ცილისწამების შესახებ სარჩელის განხილვაში მონაწილე ცხრა მსაჯულიდან ხუთი იყო იმ პოლიტიკური პარტიის წევრი, რომელიც ცილისწამებულური განცხადებების ძირითად ადრესატს წარმოადგენდა. მსაჯულთა შერჩევის პროცედურა შესაბამისობაში იყო შვედეთის კანონმდებლობასთან და განმცხადებლის მცდელობა მათ აცილებასთან დაკავშირებით უშედეგოდ დასრულდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხესა და ხუთ მსაჯულს შორის არსებული კავშირი ეჭვქვეშ აყენებდა მათ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრიდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (1) მუხლის დარღვევას.

საზოგადოებაში სასამართლოს ეგალება, რომ არამართო ობიექტურად იყოს მიუკერძოებელი, არამედ შესაბამის ნდობასაც უნერგავდეს ადამიანებს“. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მსაჯულის გამონათქვამს – „მე რასისტი ვარ“, შეედლო საფუძვლიანი ეჭვი შეექმნა მის მიუკერძოებლობაზე. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ასიზების სასამართლო ვალდებული იყო, გამოეკვლია ეჭვქვეშ დაყენებული მსაჯულის მიუკერძოებლობა, რადგან მიუკერძოებლობის მოთხოვნა თანაბრად შეეხებოდა პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებს. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ვინაიდან სასამართლო ვალდებული იყო, შეემონებინა, ჩაითვლებოდა თუ არა სასამართლოს მოცემული შემაღგენლობა „მიუკერძოებელ სასამართლოდ“ კონვენციის ამ მუხლის მიზნებისთვის.²²

მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, ასევე დარღვეულად მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „სენდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. სტრასბურგის სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (1) დარღვევის დადგენისას განმარტა, რომ „ობიექტურად მსაჯულთა კოლექტიური წერილი არ შეიძლება ჩათვლილიყო განმცხადებლის ეჭვების გაქარწყლებისათვის საკმარისად, ვინაიდან საეჭვოა, რომ მსაჯულებს მათი რასისტული შეხედულებები ეღიარებინათ. არც მოსამართლის მოწოდება არ იყო საკმარისი, რადგანაც შეუძლებელია რასისტული შეხედულებების ერთ დამეში შეცვლა“²³. ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში დაასკვნა, რომ „ბუნდოვანი დაპირებების ძიების სანაცვლოდ, რომ ნაფიცი მსაჯულები გვერდზე გადადებდნენ თავიანთ ცრურწმენებს, მოსამართლეს უფრო მკაცრი რეაგირება უნდა მოეხდინა და გადაეწყვიტა საქმე მხოლოდ მტკიცებულებების საფუძველზე“.²⁴

ამდენად, სახეზეა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

²² იხ. საქმე Remli v. France, Application no.16839/90, 23 April 1996.

²³ იხ. საქმე Sander v. United Kingdom, Application no.34129/96, 9 May 2000, Final 9 August 2000. აღნიშნულ საქმეში ბრალდებული იყო აზიელი. სამეფო სასამართლოში საქმის წარმოებისას საქმის განხილვა გადაიდო იმის გამო, რომ მსაჯულმა გაუგზავნა მოსამართლეს წერილი, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ორი მსაჯული აკეთებდა აშკარად რასისტულ შენიშვნებს და ხუმრობებს და გამოთქვამდა შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული ცნობილი იქნებოდა დამნაშავედ არა მტკიცებულებების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ იგი აზიელი იყო. მეორე დილას მოსამართლემ ორი წერილი მიიღო. პირველი წერილი ხელმოწერილი იყო ყველა მსაჯულის მიერ, მათ შორის წინა წერილის ავტორის მიერაც და უარყოფდა რასიზმში ბრალდებას. მეორე წერილი დანწერილი იყო ერთ-ერთი მსაჯულის მიერ, რომელიც აცხადებდა, რომ შესაძლოა ის ყოფილიყო პასუხისმგებელი რასისტულ ხუმრობებზე. იგი ბოდიშს იხდიდა და აცხადებდა, რომ არანაირად არ იყო რასისტულად განწყობილი. მოსამართლემ გადაწყვიტა, არ დაეთხოვა ნაფიცი მსაჯულები და ამის მაგივრად მოუწოდა მათ, ყურადღება სასამართლო ფუნქციის განხორციელებისკენ მიემართათ.

²⁴ Ibid., § 34.

კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი ელემენტის, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – სასამართლოს მიუკერძოებლობა - მისაღწევად ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მაღალი სტანდარტის დანხებისა და გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ეუთოსა და ევროპის საბჭოს 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ მოსაზრებაში მითითებულია: „მსაჯულთა შერჩევა მიზნად ისახავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას (რამდენადაც ეს შესაძლებელია). თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე–223-ე მუხლების დებულებებში ეს მიზანი არ იკვეთება. იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვების დასმის შემდეგ აუცილებელია დაუსაბუთებელი აცილების დაყენება, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს, რომ აღნიშნული პროცედურები გამოყენებული იქნება იმისთვის, რომ ნაფიც მსაჯულთა ობიექტური მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ არ დადგეს. ამ კონტექსტში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილში აღნიშნულია, რომ ნაფიც მსაჯულს შეუძლია „დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ“ უფლებამოსილი მოსამართლის წინაშე და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში.“²⁵

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეუთომ და ევროპის საბჭომ საქართველოს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

განისაზღვროს ნაფიც მსაჯულთა დაუსაბუთებელი აცილების მიზანი და ნაფიც მსაჯულებს დაეკისროთ ვალდებულება, დაუყოვნებლივ განაცხადონ ამის თაობაზე, როდესაც აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ მათი სუბიექტური ან ობიექტური მიუკერძოებლობა საეჭვოა.²⁶

დასაბუთებული განაჩენის უფლება

საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელო ორგანოები, ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებენ სასამართლოს მიერ განაჩენის დასაბუთებას, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი საერთაშორისო აქტი არ შეიცავს მითითებას მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების შესახებ. ის გარემოება, რომ დასაბუთებული განაჩენის უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეში ხაზგასმით აღნიშნა და გადაწყვეტილების დასაბუთების შესაბამისი სტანდარტები დაადგინა.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს მოთხოვნას, რომ სასამართლომ გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს

²⁵ Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 26.

²⁶ Ibid.

უფლება კონვენციის ზოგადი პრინციპიდან მომდინარეობს, რომელიც იცავს პიროვნებას თვითნებური გადაწყვეტილებისგან. ეს უფლება არ გულისხმობს მოთხოვნას, რომ შიდა სასამართლოებმა დეტალური პასუხი გასცენ მხარეების მიერ წარმოდგენილ ყოველ არგუმენტს, თუმცა სასამართლომ დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა გასცეს პირის სამართლებრივი თუ ფაქტობრივი მოთხოვნის ძირითად ელემენტებს.²⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განაცხადა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზანია, *inter alia*, მხარეთა წარდგინების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების ჯეროვანი განხილვის ვალდებულების დაკისრება “სასამართლოზე”, რათა სასამართლომ, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, შეაფასოს მათი რელევანტურობა გადაწყვეტილების მიღებისას.²⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით: „კონკრეტული კანონისმიერი ცნების ბუნდოვანების პირობებში უფრო მეტად აუცილებელი იყო, რომ სასამართლოს კარგად დაესაბუთებინა გადაწყვეტილება განმცხადებლის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ“.²⁹ აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით დაადგინა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში „ჰ. ბელგიის წინააღმდეგ“ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

საერთაშორისო აქტებით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტის, პრეცედენტული სამართლით განმტკიცებული დასაბუთებული განაჩენის უფლების, ფუძემდებლური ხასიათის მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა მნიშვნელოვან შემლუდვებს უწესებს აღნიშნულ უფლებას (მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება). ევროპულ ქვეყნებში მოქმედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემებს, სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, იშვიათად გამოაქვთ დასაბუთებული ვერდიქტები. შესაბამისად, თავდაპირველად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, შემდეგ კი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცედურებთან მიმართებით არაერთი საჩივარი განიხილა და თითოეულ ასპექტთან დაკავშირებით შესაბამისი მიდგომები განავითარა. „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიდგომა, რაც ევროპულმა სასამართლომ დაამკვიდრა, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს ან

²⁷ იხ. „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად [მე-6 მუხლი]“, სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედაქტორები/ავტორები: იონკო გროზევი, დოვიდას ვიტკაუსკასი და სიან ლევის-ენტონი, რედაქტორები/ავტორები: დონა ლონან სტრაისტეანუ და დინა ვედერნიკოვა, 2008 წ., გვ. 118.

²⁸ იხ. საქმე *Kraska v. Suisse*, Application no. 13942/88, 19 April 1993, § 30. იხ. საქმე *Van De Hurk v. The Netherlands*, Application no. 16034/90, 19 April 1994, § 59.

²⁹ იხ. საქმე *H. v. Belgium*, Application no. 8950/80, 30 November 1987, § 53. მოცემული საქმის თანახმად, განმცხადებელი ასაჩივრებდა მისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, ჩამორთმეული უფლების აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ „განსაკუთრებულ გარემოებებში“. ევროპულმა სასამართლომ წინამდებარე საქმეში სწორედ „განსაკუთრებული გარემოებების“ კანონისმიერი ცნების ბუნდოვან ხასიათზე იმსჯელა.

მსაჯულთა გადაწყვეტილებაში მკაფიოდ, ნათლად და ჯეროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზეზები სისხლის სამართლებრივ საქმეებზე ვერდიქტების გამოტანისას.³⁰

საქმეში „რ. ბელგიის წინააღმდეგ“³¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულებმა არ დაასაბუთეს მათ მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარემ მათ წინასწარვე დაუსვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებული კითხვები და ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მოცემული კითხვები. კომისიამ მიიჩნია, რომ კონკრეტულმა კითხვებმა, რომელთა დასმა შესაძლებელი იყო ბრალდების ან დაცვის მოთხოვნის საფუძველზე, შექმნეს საქმეზე გამოტანილი განაჩენის საფუძველი და საკმარისად დააბალანსეს მსაჯულების პასუხების სიცხადე. იგივე პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საქმეში „ბაროული ბელგიის წინააღმდეგ“³² და საქმეში „პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ“.³³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ“³⁴ მიუთითა: ის ფაქტი, რომ მსაჯულებმა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დასმულ 768 კითხვას გასცეს პასუხი, განაჩენისთვის საკმარისი საფუძველი იყო და მოცემული კითხვების სიზუსტემ დააბალანსა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არგუმენტაციის ნაკლებობა.

საქმეში „ბელერინ ლაგარესი ესპანეთის წინააღმდეგ“³⁵ სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება, რომელსაც თან ერთვის ნაფიც მსაჯულთა თათბირის ჩანაწერი, შეიცავდა ფაქტების ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც მსაჯულებმა დადგენილად მიიჩნიეს მომჩივანის დამნაშავედ ცნობისას, ამ ფაქტების სამართლებრივ ანალიზს და სასჯელის განსაზღვრის მიზნებისათვის იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთაც ზეგავლენა იქონიეს მომჩივანის პასუხისმგებლობის დონეზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისთვის საკმარის დასაბუთებას შეიცავდა.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“³⁶ მიიჩნია, რომ შოტლანდიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

³⁰ იხ. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“, ბესარიონ ბოხაშვილი, 2004 წ., გვ. 245.

³¹ იხ. საქმე R. v. Belgium, Application no. 15957/90, 30 March 1992.

³² იხ. საქმე Zarouali v. Belgium, Application no. 20664/92, 29 June 1994.

³³ იხ. საქმე Planka v. Austria, Application no. 25852/94, 15 May 1996.

³⁴ იხ. საქმე Papon v. France, Application no. 54210/00, 25 July 2002, Final 25 October 2002.

³⁵ იხ. საქმე Bellerin Lagares v. Spain, Application no. 31548/02, 4 November 2003.

³⁶ იხ. საქმე Judge v. United Kingdom, Application no. 35863/10, 8 February 2011.

მიერ სტრუქტურირებული დაუსაბუთებელი ვერდიქტი იძლეოდა საკმარის შესაძლებლობას ბრალდებულს გაეგო მის მიმართ გამოტანილი განაჩენი. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შოტლანდიის კანონმდებლობით მინიჭებული გასაჩივრების უფლება უკანონო ვერდიქტის გამოსწორების საშუალებას წარმოადგენდა.

კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ“³⁷, ნაფიც მსაჯულთა მიერ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით თითოეული ბრალდებულისათვის ცალ-ცალკე კითხვების დასმაზე უარის გამო. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ამით შეუძლებელი იყო მომჩივანის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

მნიშვნელოვანია, ევროპული სასამართლოს განმარტება, რომელიც გააკეთა საქმეზე „სარიკი დანიის წინააღმდეგ“.³⁸ სასამართლოს პოზიციით, განაჩენში დასაბუთების არარსებობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივანის ბრალეულობა დადგინდა მსაჯულების მიერ, თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს.

ევროპული სასამართლოს მიმოხილული პრეცედენტული სამართალი ნათლად წარმოაჩინა სტრასბურგის სასამართლოს ხედვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის სპეციფიკურ მახასიათებლებთან მიმართებით (გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა, ვერდიქტის გასაჩივრება). ევროპული სასამართლოს მიდგომა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის ფუნქციონირების აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვრა საქმეში ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ³⁹.

წინამდებარე საქმეში, მომჩივანი - ბატონი რიჩარდ ტაქსკეტი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი მის ბრალეულობასთან დაკავშირებით არ შეიცავდა დასაბუთებას და მას არ შეეძლო მისი გასაჩივრება სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ტაქსკეტის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსაჯულთათვის დასმული კითხვების ფორმულირებამ შეუძლებელი გახადა იმის დადგენა, თუ რატომ გაცა თითოეულ შეკითხვას დადებითი პასუხი,

³⁷ იხ. საქმე Goktepe v. Belgium, Application no. 50372/99, 2 June 2005, Final 2 September 2005, § 28.

³⁸ იხ. საქმე Saric v. Denmark, Application no. 31913/96, 2 February 1999.

³⁹ იხ. საქმე Taxquet v. Belgium, Application no. 926/05, 16 November 2010.

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა სრულად უარყო თავისი მონაწილეობა სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებებში. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მსგავსმა მოკლე, გაურკვეველმა და ზოგადმა კითხვებმა, შესაძლოა, მომჩივანს შეუქმნეს შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება იყო თვითნებური და რომ მას გამჭვირვალობა აკლდა. ამასთან, სასამართლოს პოზიციით, მომჩივანმა ვერ მიიღო საფუძვლიანი დასაბუთება იმისა, თუ რატომ ცნო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი დამნაშავედ, მან სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გაიგო და შესაბამისად, ვერ მიიღო. სასამართლომ ჩათვალა, რომ ზოგადად, ვინაიდან ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი არა საქმის მასალების, არამედ სასამართლოში მოსმენილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანეს, როგორც მსჯავრდებულისათვის, ასევე, ფართო საზოგადოებისათვის, აუცილებელი იყო ვერდიქტის ახსნა იმისათვის, რომ ნათელი მოჰყენოდა იმ მოსაზრებებს, რომელთაც დაარწმუნეს მსაჯულები ბრალდებულის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში. ასევე, აუცილებელია ზუსტი დასაბუთება იმისა, თუ რატომ გაეცა თითოეულ კითხვას დადებითი თუ უარყოფითი პასუხი.

მოცემული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად, 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაკეთდა უმნიშვნელოვანესი განმარტებები როგორც ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან, ისე აღნიშნული ინსტიტუტისთვის დამახასიათებელ ცალკეულ ასპექტებთან მიმართებით. კერძოდ:

- ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემების სტანდარტიზაცია;⁴⁰
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს. შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტულად გადასინჯვა სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს. არჩევანის გაკეთებისას კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები სარგებლობენ მოქმედების ფართო თავისუფლებით, რათა მათი მართლმსაჯულების სისტემა მე-6 მუხლთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ;⁴¹
- ევროპული კონვენცია არ ითხოვს მსაჯულებისგან მათი განაჩენის დასაბუთებას და კონვენციის მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება მსაჯულების მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას მაშინაც კი, როცა ვერდიქტი დაუსაბუთებელია;⁴²
- იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და, რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიგოს გამოტანილი განაჩენი. ეს

⁴⁰ იხ. საქმე *Taxquet v. Belgium*, Application no. 926/05, 16 November 2010, § 83.

⁴¹ *Ibid*, § 83 – 84.

⁴² *Ibid*, § 90.

წარმოადგენს თვითნებობისგან დაცვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გარანტიას;⁴³

- კონვენციის მე-6 მუხლი იმის შესწავლასაც მოითხოვს, თუ რამდენად საკმარისი გარანტიები არსებობს თვითნებობის რისკის თავიდან ასაცილებლად და მიეცემა თუ არა ბრალდებულს განაჩენის დასაბუთების გაგების შესაძლებლობა. ამგვარ პროცედურულ გარანტიებს, შესაძლოა, წარმოადგენდნენ, მაგალითად, თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიცემული ახსნა-განმარტებები ან მითითებები, მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული ზუსტი, ცალსახა კითხვები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს და შესაბამისად, საკმარისად დააბალანსებენ იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხები არ იქნება დასაბუთებული. დაბოლოს, გასათვალისწინებელია, ბრალდებულის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა;⁴⁴
- ნაფიც მსაჯულთათვის მკაფიო კითხვების დასმა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას იმისა, რომ მომჩივანმა გაიგოს მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი. გარდა ამისა, ვინაიდან საქმე ეხებოდა რამოდენიმე ბრალდებულს, კითხვები შეძლებისდაგვარად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი ყოველივე მათგანისთვის ინდივიდუალურად;⁴⁵
- ბელგიური სისტემა არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივარი საკასაციო სასამართლოში ეხება მხოლოდ სამართლის საკითხებს და შესაბამისად, არ უზრუნველყოფს ბრალდებულს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებით.⁴⁶

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაუსაბუთებელი ვერდიქტი, თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება შესაბამისი სამართლებრივი სისტემის კონტექსტში სამართალწარმოების მთლიანობაში გაანალიზებისას, დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას, სასამართლოს ამოცანაა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაზღვროს, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება გაიგოს, თუ რატომ სცნეს

⁴³ Ibid.

⁴⁴ Ibid, § 92.

⁴⁵ Ibid, § 98.

⁴⁶ Ibid, § 99.

განსახილველი საკითხის (დასაბუთებული ვერდიქტი) მსგავსი გადაწყვეტა გვხვდება ეუთოსა და ევროპის საბჭოს 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ მოსაზრებაში, ვერძოდ: „სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბოლოო ჯამში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება მკაფიოდ და დეტალურად იყოს დასაბუთებული, ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა იცოდნენ დანაშაულის ძირითადი ელემენტები, განსაკუთრებით რთული და მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის განმარტებების მიცემის ან მათი ზედამხედველობის მეშვეობით, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ზუსტი და ცალსახა კითხვების ჩამონათვალს. ამ გზით, ბრალდებულს შეეძლება ვერდიქტის დასაბუთების გააზრება პირდაპირ ან მოსამართლის, პროკურორისა და/ან ბრალდებულის მიერ ნაფიცი მსაჯულისათვის დასმულ კონკრეტულ და დეტალურ კითხვებზე პასუხების მეშვეობით, რომლებიც დაერთვის გადაწყვეტილებას და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ქართული სისტემა არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს დეტალური კითხვების თანმიმდევრობის დაცვასა და პასუხის გაცემას დანაშაულის სხვადასხვა ელემენტთან დაკავშირებით. ეს არც გასაჩივრების პროცესზე ხორციელდება, რა დროსაც არ ხდება საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა შესწავლა (de novo). მიზანშეწონილია, მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, რთულ საქმეებზე მოსთხოვოს ნაფიც მსაჯულებს ფაქტობრივი დასკვნების გაკეთება დანაშაულის კონკრეტული ელემენტების მიმართ ჩამონათვალის და არა ზოგადად ბრალდების (თითოეულ მათგანზე) შესახებ. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კონკრეტული კითხვების ჩამონათვალმა, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხელმძღვანელებს დასკვნების გამოტანისას.“⁴⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეუთომ და ევროპის საბჭომ საქართველოს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

ნაფიც მსაჯულებს მიეცეთ შესაძლებლობა, რთულ საქმეებზე ფაქტობრივი დასკვნები დააფუძნონ დანაშაულის კონკრეტული ელემენტების ჩამონათვალის მიმართ და არა ზოგადად დანაშაულს.⁴⁹

⁴⁷ Ibid, § 93.

⁴⁸ Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 29.

⁴⁹ Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014.

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრაში

ევროპული სტანდარტები მოითხოვს, როგორც დაკისრებული სასჯელის ზღვრის დასაბუთებას, ისე დაუსაბუთებელი არაპროპორციულობის თავიდან აცილებას სასჯელის შეფარდებისას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიმართ გაცემულ „სასჯელის შეფარდების თანმიმდევრულობის თაობაზე“ რეკომენდაციაში⁵⁰ ცალსახად აფიქსირებს:

სასამართლოებმა, ზოგადად, უნდა მიუთითონ კონკრეტულ საფუძვლებზე სასჯელის შეფარდებისას. კერძოდ, კონკრეტული დასაბუთება უნდა მიეთითოს საპატიმრო სასჯელის დაკისრებისას. მაშინ, როცა სასჯელის ზღვრები განსაზღვრულია, რეკომენდირებულია, სასამართლოებმა მიუთითონ მიზეზებზე, დადგენილი სასჯელის ზღვრის მიღმა, სასჯელის დაკისრებისას.

უთოსა და ევროპის საბჭოს 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ მოსაზრებაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობაზე მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით მითითებულია: საქართველოში ამ სისტემას აქვს ორი პრობლემა. პირველ რიგში, არ არსებობს დანიშნული სასჯელის ზღვრის დასაბუთების ვალდებულება, რის გამოც, ბრალდებულისათვის შეიძლება ბუნდოვანი იყოს, თუ რატომ შეეფარდება მას სასჯელის კონკრეტული ზომა. მეორე, რადგან ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ არანაირი იურიდიული განათლება, ამ გარემოებამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს სისტემა თანმიმდევრულობას სასჯელის შეფარდებისას, რადგან ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება განსაზღვრონ სასჯელი პირადი შეხედულებების ან მასმედიის გავლენის საფუძველზე⁵¹.

მოცემულ მსჯელობაზე დაყრდნობით, უთო და ევროპის საბჭო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარიანტების განხილვის შესაძლებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, „ერთ-ერთი მათგანი გულისხმობს სასჯელის შეფარდების მთლიანი უფლებამოსილების მოსამართლეებისათვის მინიჭებას. მეორე ალტერნატივა ამოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების ერთობლივი მონაწილეობა სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო მოსამართლეებისათვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება დანიშნული სასჯელის დასაბუთებაზე.“⁵²

⁵⁰ Recommendation No R (92) 17 of The Committee of Ministers to Member States Concerning Consistency in Sentencing, Council of Europe, 19 October 1992, par. E. (1).

⁵¹ Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 27.

⁵² Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 28.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეუთომ და ევროპის საბჭომ საქართველოს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

თანმიმდევრობისა და სასჯელების შესახებ სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, გადაიხედოს ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ნაფიც მსაჯულებს აკისრიათ სასჯელის შეფარდების პროცესში და სასჯელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია მოსამართლეს მიენიჭოს, ან, ალტერნატივის სახით, მოსამართლემ მიიღოს მონაწილეობა სასჯელის განსაზღვრისა და დასაბუთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵³

3. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების ცალკეული ასპექტების შედარებითი ანალიზი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელის შედარებითი ანალიზი მიზნად ისახავს მოქმედი კანონმდებლობის დებულებათა შესწავლას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის თვალსაზრისით, ასევე, იმ ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სადაც ნაფიცი მსაჯულები ჩართულები არიან სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.

3.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიძლება განვიხილოთ როგორც: (1) მხარის უფლება მიიღოს საქმის მოქალაქეთა მეშვეობით განხილვის შესაძლებლობა; (2) სიცოცხლისა და თავისუფლების უფლების გარანტია იმ საქმეებში, სადაც ბრალდებულს, შესაძლოა, მიესაჯოს სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა; (3) მოქალაქეთა უფლება მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და მოქალაქეობრივი მოვალეობა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში (4).

პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის პოზიციით, სასურველი იქნებოდა, ქართველ კანონმდებელს შეეტანა ისეთი სახის ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლებიც სასამართლო პროცესში უზრუნველყოფდნენ ნაფიც მსაჯულთა უფრო ხშირი მონაწილეობის გარანტიას გარკვეულ დანაშაულებთან მიმართებაში/გაფართოვდება განსახილველ დანაშაულთა წრე. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი მოცემულია კანადის უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიაში, რომლის მიხედვით: „ნებისმიერ პირს უფლება აქვს მისი საქმე განხილული იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მაშინ, როდესაც ჩადენილი დანაშაულისთვის დაკისრებული მაქსიმალური სასჯელი წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას 5 წლის ვადით, ან უფრო მძიმე სასჯელს [...] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამხედრო ტრიბუნალის მიერ სამხედრო დანაშაულის საქმე

⁵³ Ibid.

განიხილება“.

ამასთან, პროფესორი ნიკოლაი კოვალევი თვლის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, შესაძლოა, განიხილოს ისეთი დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე ნაკლები ვადით და იმავდროულად, მიეკუთვნებიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს და შეიცავენ რისკს სახელმწიფოს მხრიდან პროფესიონალ მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ასეთი საქმეების რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს პოლიტიკური და პრესასთან დაკავშირებული დანაშაულები. რიგ ქვეყნებში, მაგალითად, ბელგიაში⁵⁴, დანიაში (2008 წლამდე), ავსტრიაში⁵⁵ და შვედეთში⁵⁶ მოცემული დანაშაულების ერთი ან ორივე კატეგორია განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ⁵⁷. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია მედიასთან (ცილისწამება, შეურაცხყოფა), ან როგორცაა მოწოდება კონსტიტუციური მართლწესრიგის ძალადობრივი შეცვლის ან დამხობისკენ, ან მოწოდება ტერიტორიული მთლიანობის დამხობისკენ, მოიცავს სამოქალაქო თავისუფლების საკითხებს როგორც ინდივიდუალური ბრალდებულისთვის, ასევე, იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ „მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“⁵⁸

პროფესორი ნიკოლაი კოვალევი მიიჩნევს, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, საქართველო, შესაძლოა, მთავრობის მიერ ხშირად დაირღვეს სიტყვის თავისუფლება, ამასთან, პროფესიონალი მოსამართლეები არ არიან საკმარისად ეფექტურები საზოგადოების დაცვაში სახელმწიფოს მხრიდან ცენზურის გამოყენებისა და პრესის თავისუფლებაში ჩარევის სხვა ფორმებისგან. ამ კონტექსტში, შესაძლოა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაცილებით ეფექტური იყოს წმინდა და შერეულ სასამართლოებთან შედარებით სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური და მედიასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის პროცესში.

⁵⁴ ბელგიის კონსტიტუციის 150-ე მუხლის თანახმად, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნება ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე მოიცავს პოლიტიკურ და პრესასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებსაც“.

⁵⁵ ავსტრიის კონსტიტუციის 91-ე მუხლი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენებას „ყველა პოლიტიკური დანაშაულისთვის ან სამართალდარღვევისთვის.“

⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა გამოყენებას ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ნაფიც მსაჯულთა 9 კაციანი ჯგუფი იღებს მონაწილეობას სისხლის, ასევე, სამოქალაქო საქმეების განხილვაში, რომელიც ეხება პრესის თავისუფლებას.

⁵⁷ Jackson, J.D. and Kovalev, N.P. (2006), „Lay adjudication and human rights in Europe“, Columbia Journal of European Law, 13, 95-96.

⁵⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 19.

3.2. ნაფიც მსაჯულთა აცილების აკრძალვა დისკრიმინაციულ საფუძველზე

პრეცედენტული სამართლის ზოგ სისტემაში, მაგალითად, ახალ ზელანდიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრალდების მხარის მიერ მსაჯულობის კანდიდატთა სიიდან ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების დაუსაბუთებელი აცილების საკითხი ბრალდების მხარის მიერ თავისი ძალაუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევას ნიშნავს. ახალ ზელანდიაში, მაორის თემის წარმომადგენლებს ღრმად სწამთ, რომ „უმიზეო აცილება ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს და კიდევ უფრო მწვავეს ხდის მსაჯულთა არასათანადო წარმომადგენლობას, რომელიც ისედაც უკვე შექმნილია დისკვალიფიკაციისა და გათავისუფლების სისტემით.“⁵⁹

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს საკითხი უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში სასამართლო განხილვის თემას წარმოადგენს.⁶⁰ მაგალითად, საქმეში *Batson v. Kentucky* (1986) აშშ-ს უზენაესი სასამართლო ადგენს შემდეგს: “თანასწორობის დებულება⁶¹ უკრძალავს ბრალდების მხარეს ეჭვი შეიტანოს მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობაში მხოლოდ მათი რასობრივი წარმომავლობის ნიადაგზე ან იმის საფუძველზე, რომ შავკანიან მსაჯულთა ჯგუფი უძლეური იქნება/ვერ შეძლებს მიუკერძოებელი იყოს სხვა შავკანიანის წინააღმდეგ საქმის განხილვისას”.

სასამართლომ *Batson*-ის საქმეში დაადგინა შემდეგი პრინციპი: თუ ბრალდებული დაამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ დისკრიმინაციას პროკურორის მხრიდან ბრალდებულის სასამართლო პროცესზე მსაჯულის დასაბუთების გარეშე აცილების მოთხოვნის დაყენებისას, შავკანიანი მსაჯულების აცილების დასასაბუთებლად მიუკერძოებელი განმარტების წარდგენის ვალდებულება ანუ მტკიცების ტვირთი, გადადის სახელმწიფოზე. მოგვიანებით *Batson*-ის პრინციპი გავრცელდა მსაჯულთა აცილების შემთხვევებზე ეთნიკური (*Hernandez v. New York*) და გენდერული (*J.E.B. v. Alabama ex rel. T.B.*) ნიშნით. იმავედროულად, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა აცილების აკრძალვა გაეგრძელებინა რელიგიურ ნიადაგზე (*Davis v. Minnesota*).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც კრძალავს მსაჯულთა დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური

⁵⁹ Cameron, N., Potter, S. & Young, W. (2000). „The New Zealand Jury: Towards Reforms”, in Vidmar N. (ed.) *World Jury Systems*, oxford University Press, 192.

⁶⁰იბ. საქმეები: *Swain v. Alabama* (1965); *Batson v. Kentucky* (1986); *Powers v. Ohio* (1991); *Georgia v. McCollum* (1992); *J.E.B. v. Alabama ex rel. T.B.* (1994); *Hernandez v. New York* (1994); *Davis v. Minnesota* (1994).

⁶¹ თანასწორობის დებულება წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-14 შესწორების ნაწილს და ადგენს: „[არც რომელიმე შტატს აქვს უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე], არც ვინმეს შეიძლება ეთქვას უარი, მისი იურისდიქციის ფარგლებში, იყოს კანონის მიერ თანაბრად დაცული“.

შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე. პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის მოსაზრებით, აღნიშნული დებულება დეკლარაციულად დარჩება მანამ, სანამ ეფექტიანად არ იქნება დაცული. კერძოდ, სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება: 1) განიხილოს მხარის მსაჯულობის კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილება, რომელიც მოხდა აკრძალული დისკრიმინაციული საფუძვლის ნიადაგზე და 2) უარი თქვას ასეთ აცილებაზე, თუ გადაწყვეტს, რომ დისკრიმინაციის ფაქტს ჰქონდა ადგილი.

3.3. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მოდელის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მსჯავრდებულისთვის სასჯელის განსაზღვრაში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაში მონაწილეობას იღებენ ნაფიცი მსაჯულები მათ შეუძლიათ მიიღონ სასჯელის შემსუბუქების ან სასჯელის დამძიმების რეკომენდაცია.

1980-იანი წლების მსაჯულთა მიერ სასჯელის შემსუბუქების პრაქტიკის ალტერნატივად ზოგიერთი მეცნიერი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისა და ნაფიც მსაჯულთა ერთობლივ თათბირს მიიჩნევდა⁶². პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის შეხედულებით, ორივეს - „სასჯელის შემსუბუქების პრაქტიკას“ და „ერთობლივი თათბირების წესს“ - აქვს თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, სასჯელის შემსუბუქების წესი აძლევს მსაჯულებს საშუალებას, ჩაატარონ თათბირი მოსამართლის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თუმცა, მეორე მხრივ, ეს წესი მათ მხოლოდ ორი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს: გამოხატონ აზრი სასჯელის სიმძიმესა თუ სიმსუბუქეზე. მოსამართლის თანდასწრებით ჩატარებული თათბირი აძლევს მსაჯულებს საშუალებას, ერთი მხრივ, იყვნენ უფრო მოქნილები გადაწყვეტილების გამოტანისას, მეორე მხრივ კი - აღნიშნული შეიცავს მოსამართლის მხრიდან თათბირის პროცესის მანიპულირების რისკს.

მესამე ვარიანტად პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი განიხილავს ამერიკული სასამართლოს მოდელს, როდესაც მსაჯულებს შეუძლიათ გადაწყვეტილების გამოტანა დამოუკიდებელი თათბირის დროს, რომელიც გაიმართება საქმის არსებითი განხილვის სხდომის დამთავრებისა და მოსამართლისგან ინსტრუქციების მიღების შემდგომ. ეს მოდელი ყველაზე მისაღებად მიაჩნია პროფესორ კოვალიოვს ნაფიც მსაჯულთა სისტემისთვის საქართველოში. მისი პოზიციით, პირველ რიგში, „ერთობლივი თათბირის

⁶² „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სრულყოფის გზები“, საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი, ბაბოტოვის ს. ვ., ვიცინის ე., კოვანი ბ. მ., მიხაილოვსკაია ი. ბ., მორშაკოვა ტ. გ., პანკრატოვი გ. ვ., სოკოლსკი ო. ე., ხობრიაკოვი გ. ფ., (1989), 4, 87-96.

წესის“ და „სასჯელის შემსუბუქების წესის“ მოდელისგან განსხვავებით, ზემოხსენებული მოდელი უკეთესად ასახავს სამოგადობრივ ღირებულებებსა და მოსაზრებებს ეფექტურ მართლმსაჯულებაზე. მეორე მხრივ, კოვალიოვის აზრით, აღნიშნული შეამცირებს ნაფიც მსაჯულთა მხრიდან გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ შემთხვევაში, თუ მსაჯულებს სწამთ, რომ კანონი, რომლითაც ბრალდებული არის გასამართლებული უსამართლო ან არასწორია, ხელს შეუწყობს უფრო ჰუმანური და პროპორციული სასჯელის დანიშვნას ბრალდებულის თვისებებიდან გამომდინარე, რის შედეგად სასამართლოს მიმართ სამოგადობრივი ნდობა გაიზრდება. და მესამე, კოვალიოვი თვლის, რომ მოცემული დანაწესი სასჯელის განსაზღვრაზე მოსამართლის გავლენას შეამცირებს.

აღნიშნული მესამე მიდგომის ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს, როგორც ეს ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობაში გამოიყენება ისეთი მძიმე დანაშაულების მიმართ, რომლებიც რამდენიმე შტატში სიკვდილით ისჯება, ხოლო ხუთ შტატში სიკვდილით არ ისჯება. პირველ სტადიაზე, მსაჯულები განსაზღვრავენ ბრალდებულის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის საკითხს. მეორე სტადიაზე, თუ ბრალდებული დამნაშავედ იქნება ცნობილი, მსაჯულები ისმენენ მოსამართლისგან არგუმენტებსა და ინსტრუქციებს სასჯელის განსაზღვრის თაობაზე. მაშინ, როდესაც პირველ სტადიაზე მსაჯულებს არ აქვთ უფლება მოისმინონ ან გაიგონ რაიმე ინფორმაცია ბრალდებულის უარყოფითი თვისებების შესახებ (როგორცაა, მაგალითად, მისი წინა ნასამართლეობა ან ალკოჰოლზე დამოკიდებულება), სასჯელის დადგენის სტადიაზე მსაჯულებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წვდომა ასეთი ტიპის ინფორმაციაზე იმისათვის, რომ დაადგინონ პროპორციული სასჯელი თითოეული ბრალდებულისთვის მისი თვისებებისა და კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

რაც შეეხება სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებით ხმის მიცემის წესებს, პროფესორი კოვალიოვი მიიჩნევს, რომ ისინი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ვერდიქტის გამოტანის წესები. სხვა სიტყვებით, სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ასევე, უნდა იყოს მიღებული ერთ-სულოვნად ან კვალიფიციური უმრავლესობით. მეტიც, მსჯავრდებულისათვის ზედმეტად მკაცრი სასჯელის დაკისრებისგან დასაცავად, ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნა უნდა ვრცელდებოდეს უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევებზეც. პროფესორის თქმით, მსგავსი ცვლილება უკვე შეტანილია ყაზახეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და ითვალისწინებს სიკვდილით დასჯით სასჯელის დაკისრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ერთსულოვნად პროფესიონალი მოსამართლეებისა და მსაჯულების მიერ.

3.4. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

ტრადიციული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები⁶³, რომელთა კატეგორიას განეკუთვნება საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა, ვერდიქტის დასაბუთებას არ ახდენენ. მე-19 საუკუნეში ზოგიერთმა ევროპულმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სპეციალური ვერდიქტების გამოტანის სისტემა მიიღო, რომელსაც სამართლის სხვადასხვა სპეციალისტების კრიტიკა მოჰყვა. თავდაპირველად, სპეციალური ნაფიცი მსაჯულების სისტემა საფრანგეთში შემოიღეს 1787 წლის რევოლუციის შემდეგ და მოგვიანებით ის ევროპის სხვა ქვეყნებშიც გადაიღეს.

ფრანგული სპეციალური ვერდიქტის სისტემის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი იყო მიტერმაიერი, რომელიც წერდა:

*ფრანგული სისტემის უარყოფითი მხარე ყველა განათლებული ადამიანისათვის უკეთესად რომ წარმოვაჩინოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უამრავ უშედეგო კამათს იწვევს პროკურორსა და ადვოკატს შორის იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს კითხვების ფორმულირება და რა ალტერნატივები უნდა იქნას წარდგენილი. ნაფიც მსაჯულებს აშინებს სათათბირო ოთახში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მიერ წარმოდგენილ პასუხებში შეცდომებს შენიშნავს. სისტემის დახლართულობა უამრავი სარჩელის აღძვრას განაპირობებს, რაც დროისა და ფულის ფუჭ ხარჯვას იწვევს.*⁶⁴

მე-19 საუკუნის კიდევ ერთი მეცნიერი - ფონინიკი ამტკიცებდა, რომ მე-19 საუკუნის რუსეთში ბრალეულობის შესახებ ფუნდამენტური კითხვების სამ სხვადასხვა სფეროდ დაყოფა “დიდ გაუგებრობებს იწვევდა, რამაც დაადასტურა ამ სისტემის გაუქმებისა და მხოლოდ ბრალეულობის შესახებ ერთი ზოგადი კითხვის დასმის აუცილებლობა.”⁶⁵

იგივე მოსაზრება გამოთქვა კონიმ თავის მიმართვაში 1894-1899 წლების რეფორმების კომისიისადმი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ნ.გ. მურავიოვი ხელმძღვანელობდა:

ნაფიცი მსაჯულებისთვის კითხვების მომზადება სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს არათანმიმდევრული განსაზღვრების პრაქტიკა “სამართლებრივი ტერმინებისა” და “ჩვეულებრივი ფრაზების” განსხვავებასთან მიმართებით და დანაშაულის შემადგენლობის აღწერის მოთხოვნა. შედეგად, სასამართლოები ხშირად

⁶³ ტრადიციული სისტემის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მთავარი მახასიათებელია ის ფაქტორი, რომ ნაფიცი მსაჯულები თათბირობენ და ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პროფესიონალი მოსამართლისგან (მოსამართლეებისგან) დამოუკიდებლად. ტრადიციული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირლანდიაში, საქართველოში, ესპანეთში, რუსეთში.

⁶⁴ მიტერმაიერი სი. (1869). ევროპელი და ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები, რუსულად ნათარგმნია გერმანულიდან, გ. მოლჩანოვა, მოსკოვი: ტიპოგრაფია ა.ი. მამონცოვა, გვ. 145.

⁶⁵ ფონინიკი, ი. ია. (1996). სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კურსი, სანქტ-პეტერბურგი, ალფა, გვ. 457-458.

კითხვების ლაკონურად ფორმულირებისათვის საჭირო დროის უქონლობის გამო, დეტალურად წერენ მათ და ნაფიცი მსაჯულებისთვის რთულია კითხვის მთავარი ნაწილის განსაზღვრა [...]. ხშირად მიუთითებდნენ ინლისურ წესზე, რომლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს სცემენ საბრალდებო დასკვნის ბოლო კითხვას (დამნაშავეა თუ არა ბრალდებული), სხვა კითხვების დართვის გარეშე”.⁶⁶

პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის მოსაზრებით, თანამედროვე კანონმდებლები ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც არ იცნობდნენ ისტორიას და სპეციალური ვერდიქტის სისტემის მიღებით იგივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებიც მე-19 საუკუნის იურისტებს აქვთ აღწერილი.

სტეფან თამანმა თავის კვლევაში, რომელიც რუსეთში ჩატარებულ პირველ 114 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომას (1995: 114-123) ეხებოდა, მიმოიხილა გამოყენებული კითხვების ჩამონათვალი. თამანმა ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ სპეციალური ვერდიქტის სისტემა შემდეგ პრობლემებს იწვევს: 1. ზოგიერთი მოსამართლე ძალიან გრძელ და რთულ კითხვებს ამზადებს, “რომლებიც ისეთ დეტალებს შეიცავენ, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი სამ ფუნდამენტურ კითხვაზე პასუხის გასაცემად”; 2. ნაფიც მსაჯულებს უხდებათ გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ “დანაშაულთან დაკავშირებულ მთავარ ფაქტებზე, არამედ მეორეხარისხოვან საკითხებზეც, როგორებიცაა - მოტივი და დამამძიმებელი ფაქტორები”, რომლებმაც შესაძლოა “დაბნეულობა გამოიწვიოს და არასამართლიანი ვერდიქტის” გამოტანამდეც მიიყვანოს და 3. რუსულ სასამართლოებში კითხვების ფორმულირების ერთიანი პრაქტიკის არ არსებობა.⁶⁷

პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი თავადაც აცნობიერებენ ამ პრობლემას. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს საკასაციო საბჭოს თავჯდომარემ, ა. პ. შურიგინმა რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა (ლებედევი, 2003 წელი: 584-85; შურიგინი, 1998a: 262-76):

რუსეთის ფედერაციის 9 რეგიონში ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემოღების პირველი წლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილის გაუქმება პროცესის თავჯდომარე მოსამართლის მიერ მოხდა [...], რომელმაც კითხვის ფორმულირება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ვერ შეძლო. შედეგად ნაფიცი მსაჯულები არ პასუხობდნენ კითხვებს ქმედების განხორციელების, ამ ქმედების ბრალდებულის მიერ ჩადენისა და ზოგჯერ ბრალდებულის ბრალის დამტკიცების შესახებაც.⁶⁸

პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის პოზიციით, მოსამართლე შურიგინის

⁶⁶ კონი ა.ფ. (1966). ნაშრომების კრებული 8 ტომად. მოსკოვი: იურიდიული ლიტერატურა, ტომი IV, გვ. 273.

⁶⁷ თამანი ს.ს. (1995). “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენა რუსეთში”, Stanford Journal of International Law, 31, 61-274, გვ. 114-123.

⁶⁸ ლებედევი ვ. მ (2003 წლის გამოცემა). მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. მოსკოვი: Spark, გვ. 584-585.

არგუმენტები გვიჩვენებს, რომ როგორც პროფესიონალი მოსამართლეები, ასევე არაპროფესიონალები პრობლემებს სპეციალური ვერდიქტებისათვის კითხვების ფორმულირებაში აწყდებოდნენ. მოსამართლეებისთვის, ნაფიცი მსაჯულებისა და სააპელაციო სასამართლოებისთვის მთავარ პრობლემას თავად სპეციალური ვერდიქტის სისტემა წარმოადგენდა, უფრო კონკრეტულად კი, მარტივი დამნაშავეობა-უდანაშაულობის კითხვის გარდა ნაფიცი მსაჯულებისათვის ბევრი დამატებითი კითხვის დასმა.

გასაკვირი არ არის, რომ რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის 20 წლიანი გამოცდილების შემდეგაც კი, მოსამართლეები კვლავ უშვებენ შეცდომებს კითხვების ფორმულირებისას და რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო აგრძელებს გამამართლებელი ვერდიქტების გაუქმებას კითხვებში მსგავსი შეცდომების არსებობის საფუძველზე.⁶⁹

უფრო მეტიც, ნაფიც მსაჯულთა პასუხების “ბუნდოვანებისა და ურთიერთგამომრიცხაობის” გამო, რუსი მოსამართლეები ხშირად ნაფიც მსაჯულებს უკან აბრუნებენ სათათბირო ოთახში “შეცდომების გასასწორებლად და პასუხების დასაზუსტებლად”. მიტერმაიერის თანახმად, ეს პრაქტიკა “აშინებს ნაფიც მსაჯულებს.”⁷⁰ ზოგიერთი ბრალდებული და ადვოკატი უზენაეს სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ამტკიცებს, რომ მოსამართლეები ნაფიც მსაჯულებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას აიძულებენ.⁷¹

ამ ანალიზის ავტორის მიერ 2004 წელს გამოკითხული მოსამართლეებიდან, ადვოკატებიდან და პროკურორებიდან 10-მა რესპოდენტმა - ხუთმა მოსამართლემ და ხუთმა პროკურორმა სპეციალური ვერდიქტის სისტემის გაუქმების სურვილი გამოთქვა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ნაფიცი მსაჯულებისათვის წარდგენილი კითხვები ხშირად “ძალიან რთული და გრძელი იყო”. პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის მოსაზრებით, საინტერესო კომენტარი გააკეთა მოსამართლემ, რომელმაც განაცხადა, რომ:

ჩამონათვალი ძალიან ბევრ კითხვას მოიცავს, რომლებიც ართულებს ნაფიც მსაჯულთა მუშაობას. ეს პრაქტიკა უზენაეს სასამართლოს გადანყვეტილებების ბათილად ცნობის შესაძლებლობას აძლევს კითხვების ბუნდოვანებისა და ურთიერთგამომრიცხაობის გამო.⁷²

შესაბამისად, პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ქართველმა კანონმდებლებმა უმჯობესია შეინარჩუნონ არსებული ზოგადი ვერდიქტის მიღების სისტემა და არ მიიღონ შემოთავაზებული სპეციალური ვერდიქტის გამოტანის წესი.

⁶⁹ კოვალიოვი ნ. (2010). სისხლის სამართლის რეფორმა რუსეთში, უკრაინასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და შერეული სასამართლოები, Mellen Press, გვ. 454.

⁷⁰ მიტერმაიერი, შენიშვნა 27, გვ. 145.

⁷¹ კოვალიოვი, შენიშვნა 32, გვ. 454.

⁷² Ibid, გვ. 455.

პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი თვლის, რომ არგუმენტი, თითქოს დაუსაბუთებელი ვერდიქტები ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევს, არადამაჯერებელია რამოდენიმე მიზეზის გამო:

პირველი - თითოეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის მთავარი მიზანია ბრალეულობის დადგენა. ცხადია, თუკი ნაფიცი მსაჯულები ბრალეულობის შესახებ კითხვას დადებითად უპასუხებენ, ისინი ეთანხმებიან, რომ ბრალდების მხარემ შეძლო როგორც ქმედების ჩადენის ფაქტის დადასტურება, ასევე ის, რომ ქმედების ჩამდენი ბრალდებული იყო სწორედ. ნამდვილად აბსურდული იქნება იმის დაშვება, რომ ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულებენ. ასევე, არალოგიკური იქნება იმის წარმოდგენა, რომ მსაჯულები მკვლელობაში დაადანაშაულებენ ბრალდებულს, თუკი სჯერათ, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას ან უბედურ შემთხვევას;

მეორე - ბრალდებული, რომელსაც უფლება აქვს მისი საქმე პროფესიონალი მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისაგან შემდგარმა სასამართლომ განიხილოს, ინფორმირებულია მისი ადვოკატის მიერ, რომ პროფესიონალი მოსამართლისაგან განსხვავებით, ნაფიცი მსაჯულები საკუთარი ვერდიქტის დასაბუთებას არ წარმოადგენენ. თუკი ბრალდებულს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სასამართლოს ტიპი: ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან ან მოსამართლეთა ჯგუფისაგან შემდგარი სასამართლო, რომელსაც კანონი ავალდებულებს წარმოადგინოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ან ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ვალდებულნი არ არიან დააკონკრეტონ საკუთარი ვერდიქტის საფუძვლები და როდესაც ბრალდებული აკეთებს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ არჩევანს, ნაფიც მსაჯულთა არჩევის შემთხვევაში მოგვიანებით ვერ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ დაირღვა მისი უფლება - მიეღო დასაბუთებული ვერდიქტი. ბრალდებული, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აირჩევს, ავტომატურად უარს ამბობს დასაბუთებული ვერდიქტის უფლებაზე. თუმცა პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის აზრით, ამ შემთხვევაში ბრალდებული სარგებლობს ეფექტური გარანტიით, წარსდგეს სახალხო მსაჯულთა ჯგუფის (ნაფიცი მსაჯულები) წინაშე, რომლებიც უფრო დამოუკიდებელნი არიან სახელისუფლებო ზეგავლენისაგან, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლეები;

მესამე - შეიძლება ვიკამათოთ, რომ ნაფიცი მსაჯულები პასუხს არ აგებენ დაუსაბუთებელ გამამართლებელ ვერდიქტებზე. მართალია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ გამამტყუნებელ განაჩენზე ვრცელდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან მისი იურისდიქციის თანახმად, ბრალდებას ან დანაშაულის მსხვერპლს არ გააჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნის უფლება. მხოლოდ ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და ცხადია, ეს უკანასკნელი გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში ამას არ მოითხოვდა;

მეოთხე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად.

ამდენად, პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი მიიჩნევს, რომ საქართველოში უპრიანია შენარჩუნდეს ზოგადი ვერდიქტის გამოტანის სისტემა, რომელის განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 06 თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით ქვეყნის უზენაესი კანონის 82-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მეხუთე პუნქტი:

საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

2009 წლის 09 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საქართველოს ისტორიაში პირველად დაარეგულირა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კლასიკური გაგებით.⁷³ აღნიშნული ნორმები შეიცვალა 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით და საბოლოოდ ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.⁷⁴

⁷³ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მანამდე არსებობდა შერეული სისტემის სახით. აღნიშნულ საკითხზე დეტალური მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაში საქმეზე - „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლი განსაზღვრავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებით განსჯადობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, 2011 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავდა მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს. ასევე, დანაშაულთა ერთობლიობას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) ჩადენაშიც ედებოდა. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში, ასევე, განიხილავდა ხსენებულ საქმეებს, თუმცა, მნიშვნელობა არ ენიჭებოდა დანაშაულის სტადიებს (მომზადება, მცდელობა, დამთავრებული).

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებს. ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედებოდა.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავდნ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედებოდა.

4.1. ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ნაფიცი მსაჯულები ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ეყრდნობიან სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განმარტებებს.

საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრა ე.წ. ანგლო-საქსური მიდგომა, რომლის მიხედვით, არ ხდება მსაჯულთათვის შეკითხვების დასმა და ნაფიც მსაჯულებს წარედგინებათ ერთი ვერდიქტის ფორმა კონკრეტული ბრალდების გარშემო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე წყვეტს პირის უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს წარედგინებათ ვერდიქტის ორი ფორმა: გამამართლებელი და გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა. ამავე მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს იმ მონაცემებზე, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ვერდიქტის თითოეული ფორმა.

აღნიშნული ვერდიქტის ფორმები მოიცავს მხოლოდ მშრალ ინფორმაციას საქმის ნომრისა და დასახელების შესახებ, ასევე, ბრალდებულის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებსა და გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, უდანაშაულოა თუ დამნაშავე პირი წარდგენილ ბრალდებაში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნაფიც მსაჯულებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე სხდომის თავმჯდომარე განმარტებებს აძლევს ორჯერ - სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე. განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობით სახითაც გადაეცემათ. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით⁷⁵, სხდომის თავმჯდომარის განმარტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც მოსამართლე განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს. კერძოდ, ნაფიც მსაჯულებს სხდომის თავმჯდომარისგან განემარტებათ, ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი; მტკიცებულებების შეფასების ზოგადი წესი; უდანაშაულობის პრეზუმეციის ცნება და ის გარემოება, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება; ის გარემოება, რომ

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 231, ნაწ. 1.

გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონსა და სასამართლო განხილვის დროს გამოვლენულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას; რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოვლენულ მტკიცებულებებს; რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით; რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით და სხვა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები.

საპროცესო კანონმდებლობა⁷⁶ უზრუნველყოფს, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის მისაცემი განმარტებების შემუშავებაში, პროცესის მხარეების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარე, უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. განმარტებისას, სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს სხდომის თავმჯდომარის ვალდებულებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, განუმარტოს მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები. ამ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს დამატებით წარედგინებათ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის საიდუმლოება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლი იცავს თათბირის საიდუმლოებას, კერძოდ, ადგენს ვალდებულებას იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირი იყოს საიდუმლო და არავინ არ იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში მათ გარდა.

კანონმდებლობა აწესებს დაცვის მხარის სასარგებლოდ ერთ მნიშვნელოვან წესსაც, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით,

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე

⁷⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 231, ნაწ. 2.

არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მონშის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის საფუძველზე განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში.

სასჯელის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი ადგენს ნაფიც მსაჯულთა მიერ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციების მიცემის შესაძლებლობას.

ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ადგენენ წესს, რომლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ გასცენ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინების ვალდებულებაც გააჩნია შესაბამის სხდომის თავმჯდომარეს. აღნიშნული რეკომენდაციები სხდომის თავმჯდომარეს აქცევენ გარკვეულ ფარგლებში სასჯელის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვართან მიმართებაში.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, სასჯელი დანიშნოს სხდომის თავმჯდომარემ ერთპიროვნულად.

სხდომის თავმჯდომარე, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სხდომაზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი არ საჩივრდება და არის საბოლოო. მხარეებს აქვთ სააპელაციო სასამართლოში საკასაციო წესით მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლებამოსილება. გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების კონკრეტული საფუძვლები კი განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

4.2. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქართველოში განხილული საქმეები

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს N5850 წერილით ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელს“⁷⁷ ეცნობა, რომ 2015 წლის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილული იყო ორი სისხლის სამართლის საქმე. ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებულს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ხსენებულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ იქნა ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტი, ხოლო სასჯელის დანიშვნის სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე გაიმართა. მეორე საქმის მიხედვით, ბრალდებულს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულ საქმეზე ნაფიც მსაჯულების მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი ვერდიქტი.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმომებაში ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი ხუთი სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი მუხლებით: 1. საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით⁷⁸, 182-ე მუხლის⁷⁹ მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; 2. საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის⁸⁰ პირველი ნაწილით; 3. საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის⁸¹ პირველი ნაწილით; 4. საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის⁸² პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 187-ე მუხლის⁸³ მე-3 ნაწილით; 5. საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის⁸⁴ მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს N5850 წერილით ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელს“, ასევე, ეცნობა, რომ დასახელებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განმარტებები. თუმცა, კონკრეტული განმარტებების შესახებ ინფორმაცია სასამართლოს არ მოუწოდებია.

⁷⁷ ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელმა“ წერილობით მიმართა თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.

⁷⁸ სამსახურებრივი სიყალბე.

⁷⁹ მითვისება ან გაფლანგვა.

⁸⁰ სამსახურებრივი გულგრილობა.

⁸¹ ცემა.

⁸² დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა.

⁸³ ნივთის დაზიანება ან განადგურება.

⁸⁴ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილით ა(ა)იპ „საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელს“ ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 2015 წლის ივნისის მდგომარეობით, განხილულ იქნა სულ 13 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო წარმოებაში ჰქონდათ 11 სისხლის სამართლის საქმე.

წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტების შესახებ ინფორმაციას წლების მიხედვით:

2011 წელი - 01 გამამტყუნებელი ვერდიქტი;

2012 წელი - 02 გამამტყუნებელი ვერდიქტი;

2013 წელი - 02 ნაწილობრივად გამამტყუნებელი ვერდიქტი;

2014 წელი - 02 გამამართლებელი ვერდიქტი, 03 ნაწილობრივად გამამტყუნებელი ვერდიქტი, 02 შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 01 შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდების მიზნით, საქმე დაუბრუნდა პროკურატურას.

აქვე უნდა აღინიშნოს ორი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც უახლოეს წარსულში განხილულ იქნა ნაფიც მსაჯულთა მიერ, კერძოდ, გიორგი ოქროპირიძისა⁸⁵ და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრების კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას⁸⁶ სისხლის სამართლის საქმეები.

პირველ საქმესთან დაკავშირებით 2015 წლის 05 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი შემადგენლობის მიერ ვერდიქტი ვერ იქნა მიღებული, თუმცა მოგვიანებით, 2015 წლის 26 დეკემბერს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე შემადგენლობის მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი ვერდიქტი. ასევე, გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას ბრალდების საქმესთან დაკავშირებით 2015 წლის 14 აგვისტოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს სასჯელის დანიშვნის სხდომაში და სასამართლოს ორივე ბრალდებულის მიმართ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციით მიმართეს.

ამდენად, მოცემული სტატისტიკა იძლევა დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ვერდიქტები (გამამართლებელი თუ

⁸⁵ <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=694>.

⁸⁶ <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=722>.

გამამტყუნებელი) მიიღეს ნაფიცმა მსაჯულებმა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად, ასევე, რა სახის რეკომენდაციები გასცნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარისთვის სასჯელის შეფარდების ეტაპზე.

4.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის რეფორმირების მიზნით განხორციელებული აქტივობები

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის #2315-III დადგენილებით სტრატეგიულ მიმართულებებს შორის განისაზღვრა ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც, სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად მაქსიმალურად იქნებოდა გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

„საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივლისის N445 დადგენილების პირველი დანართით დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის).

ხსენებული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დასახელდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და გაცხადდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისთვის, საჭირო იყო შესაბამისი ცვლილებების ინიცირება არაერთი მიმართულებით, მათ შორის, განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის აუცილებლობა.⁸⁷

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფომ გაატარა რიგი ღონისძიებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების კუთხით. თუმცა, აქვე დაკონკრეტებულია, რომ ამ მიმართულებით 2014 წლის ივნისსა და ივლისში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით, ჩატარდა მხოლოდ ტრენინგები, სახელმწიფო ბრალდების ეფექტურად მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად პროკურორების გარკვეული ჯგუფისთვის სასამართლო უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

⁸⁷ პასუხისმგებელი უწყება: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, ვადა – 2014 წ. ინდიკატორი: ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

კოდექსის იმ მუხლებმა, რომლებიც არეგულირებენ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის პროცედურებსა და წესებს, 2010 წლის შემდეგ რამდენჯერმე განიცადეს ცვლილება. კერძოდ, ხსენებულ ნორმებში ცვლილებები შევიდა 2010 წლის 24 სექტემბრის, 2011 წლის 28 ოქტომბრის, 2012 წლის 25 მაისის, 2015 წლის 19 თებერვლისა და 2015 წლის 10 ივლისის კანონებით. თუმცა, ცვლილებები არაარსებითი სახისაა და არ ეხება ინსტიტუტის ძირითად ფუნქციონალურ წესებს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და რომელიც მიზნად ისახავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის არსებით რეფორმირებასა და ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწას.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი ვერ პასუხობს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს და იგი მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავს.

პირველ რიგში, როგორც აღინიშნა, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების ვალდებულება. თუმცა, სახელმწიფოს დღემდე არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები მოცემული ინსტიტუტის სისტემური გარდაქმნის კუთხით.

აღნიშნულის გარდა, თავად შემოთავაზებული ცვლილებათა პაკეტიც ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კერძოდ:

1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი

კანონპროექტის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა დახურულია. თუმცა, აღნიშნული ცვლილების მიზანი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და განჭვრეტადი. ზოგადად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის საჯაროობა ზრდის საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ, ხოლო დაგეგმილი ცვლილებით, სწორედ, აღნიშნული ლეგიტიმური საჯარო ინტერესი ბარალდება.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს, სხდომის მიმდინარეობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის ან საკუთარი ინიციატივით, გარემოებების შეფასების შედეგად მიიღოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის დახურვის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ცვლილებათა პაკეტით შემოთავაზებული ზოგადი ხასიათის ბლანკეტური აკრძალვა კი, ეწინააღმდეგება თავად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსს და მის ფუნდამენტურ პრინციპებს.

2. ნაფიც მსაჯულთა აცილების აკრძალვა დისკრიმინაციული ნიშნით

ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, იგეგმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოღება, რაც გულისხმობს დისკრიმინაციული საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა დაუსაბუთებელი აცილების შესაძლებლობის აკრძალვას. აღნიშული საკანონმდებლო პაკეტით გაუგებარია მოცემული ცვლილების განხორციელების საფუძველი. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის მიზნებისათვის აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია, რაც აღმოფხვრის სასამართლო სისტემაში დისკრიმინაციული მიდგომის აღბათობას. შესაბამისად, ვთვლით, რომ კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად უნდა ითვალისწინებდეს სასამართლო პროცესებზე დისკრიმინაციული ნიშნით ნაფიც მსაჯულების დასაბუთების გარეშე აცილების შესაძლებლობის დაუშვებლობას. არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა ამგვარი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის უკანონოდ მიჩნევის შესაძლებლობას ადგენას. ზოგადად დისკრიმინაციის ფაქტის მტკიცების სიძნელე არ შეიძლება განაპირობებდეს კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველზე უარის თქმის არგუმენტს.

3. ვერდიქტის დასაბუთება

ცვლილებათა პაკეტის თანახმად, ნაფიცმა მსაჯულებმა, თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის საკითხი, კონკრეტულ კითხვებზე პასუხების გაცემით.

შემოთავაზებული პროექტის არსებითად სადავო საკითხს განსაზღვრული ვერდიქტის ფორმების შინაარსობრივი ნაწილი წარმოადგენს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნდა მსჯელობდეს ფაქტებზე და მათი შეფასების შედეგად უნდა ახდენდეს ქმედების კვალიფიკაციას. ხოლო შეკითხვები, რომლებზეც ნაფიცმა მსაჯულებმა პასუხი უნდა გასცენ, თითოეული მოქალაქისთვის მარტივად აღქმადი უნდა იყოს. ამასთანავე, შეკითხვები არ უნდა იყოს ფორმულირებული და გადატვირთული სამართლებრივი ტერმინოლოგიით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ხასიათის შეკითხვებზე, ნაფიც მსაჯულების სპეციფიური ცოდნის გარეშე ვერ შეძლებენ პასუხის გაცემას, რაც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას.

4. ვერდიქტის ფორმები

ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, თითოეულ ნაფიც მსაჯულს, ინდივიდუალურად ურიგდებათ ვერდიქტის ფორმები, რომლებსაც ისინი დამოუკიდებლად ავსებენ. ნიშანდობლივია, რომ პროექტი არ არეგულირებს როდის, ვის მიერ და რა ფორმით ნადგურდება ვერდიქტის ინდივიდუალური ფორმები საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების გამჟღავნების რეალურ საფრთხეს

და კონკრეტული მსაჯულის პოზიციის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობაში ცალსახად უნდა გაიწეროს - ვინ ავსებს საბოლოო ვერდიქტის ფორმას. ამასთან, მკაფიოდ უნდა გაიწეროს ნაფიც მსაჯულთა თათბირის დასრულების შემდეგ ინდივიდუალური ვერდიქტის ფორმების განადგურების ვალდებულება და შესაბამისი პროცედურა. ხოლო, აღნიშნული წესის დარღვევისთვის, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5. ვერდიქტის გასაჩივრება

ცვლილებათა პაკეტის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დაცვის მხარეს შეუძლია საერთო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ ვერდიქტი, რომელსაც განაჩენი ეყრდნობა, აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა“.

გაუგებარია, როგორ უნდა შეფასდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის მტკიცებულებათა ერთობლიობასთან წინააღმდეგობა, თუ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს არ ეკისრებათ ვალდებულება ვერდიქტში მიუთითონ, რომელი მტკიცებულებები გაიზიარეს და კონკრეტულად რომელ მტკიცებულებათა ერთობლიობას დააყრდნეს თავიანთი გადაწყვეტილება. შესაბამისად, მიუღებელია ცვლილებათა პაკეტში შემოთავაზებული ფორმით ვერდიქტის გასაჩივრება. ამასთან, მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის მიერ გასაჩივრებული ვერდიქტის საერთო წესით განხილვა და ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღება ეწინააღმდეგება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსს.

ამრიგად, მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა მოახდინოს ინსტიტუტის რეფორმირება, მცდელობა ვერ იქნება ეფექტიანი შედეგის მომცემი და ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გარანტიებს, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს გრძელვადიან პერსპექტივაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების მკაფიო, ერთიანი და სისტემური ხედვა კანონმდებლობაში აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით ცვლილებების განხორციელების პარალელურად.

5. დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევაში მიმოხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით საერთაშორისო

ინსტრუმენტებით განმტკიცებული გარანტიები, სახელმძღვანელო მექანიზმებით დადგენილი სტანდარტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩენს საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. ამდენად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტიანად ფუნქციონირებისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, რაც თვის მხრივ, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღებას და საერთაშორისო პრინციპებით დადგენილი გარანტიების ეროვნულ კანონმდებლობაში რეგლამენტირებასა და ჰარმონიზაციას.

6. რეკომენდაციები და წინადადებები

- შენარჩუნდეს ზოგადი ვერდიქტის გამოტანის სისტემა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირებას ვერდიქტის დასაბუთებულობის ნაწილში, გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოსთვის შესაფერისი მოდელის შესარჩევად. აღნიშნული პროცესი წარიმართოს საერთაშორისო ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით;
- შემუშავდეს მოსამართლეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურად გაიწერება მოსამართლეების მიერ ნაფიც მსაჯულთათვის კონკრეტული განმარტებების მიცემის წესი. სახელმძღვანელო ინსტრუქციაში გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულში თანამონაწილეობის საქმეებზე მოსამართლეების მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დაწვრილებითი განმარტებების მიცემის მნიშვნელობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით;
- გაფართოვდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულთა წრე საქართველოში არსებული შესაბამისი ფაქტორების/ ასპექტების გაანალიზებითა და გათვალისწინებით;
- განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეზე გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში სასჯელის განსაზღვრის დასაბუთების თვალსაზრისით. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით,

აუცილებელია, მოსამართლე სარგებლობდეს სრული დისკრეციით და ერთპიროვნულად იღებდეს გადაწყვეტილებას ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის სახისა და ზომის შესახებ იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. შესაბამისად, ვთვლით, რომ პროფესიონალი მოსამართლე არ უნდა იზღუდებოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან
დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ
კანონპროექტის ანალიზი

დოქტორი ნიკოლაი კოვალიოვი

2016

შესავალი⁸⁸

1. წინამდებარე ანალიზის საგანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ. ანალიზის მთავარი მიზანია შევამოწმოთ რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული ცვლილებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და იმ ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას, სადაც სისხლის სამართლის პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ. ანალიზი, ასევე, მიმოიხილავს ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს. უფრო კონკრეტულად კი, ანალიზში მითითებულია ემპირიულ კვლევებზე, რომელიც ამ ანალიზის ავტორმა რუსეთში ჩაატარა. რუსეთის ფედერაციაში კანონშემოქმედებისა და იურისპრუდენციის კუთხით განხორციელებული შეცდომები გამოყენებულია, როგორც მაგალითი იმისა, თუ რა უნდა აიცილონ თავიდან ქართველმა კანონმდებლებმა და სამართლის სფეროს პრაქტიკოსებმა. ანალიზში ასახულია ქართველ მოსამართლეებთან, ადვოკატებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დისკუსიების შედეგად ჩემს მიერ გაკეთებული მიგნებები. ანალიზის მთავარია თემებია: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის საკითხები; ნაფიცი მსაჯულის მოვალეობების შესრულების დაუშვებლობა/შეუთავსებლობა; ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმა; ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის წესი და ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის საკითხები

2. კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის მნიშვნელოვან შემცირებას ისახავს მიზნად. გასაგებია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ცდილობს შეამციროს სასამართლოს ბიუჯეტის ფინანსური ტვირთი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვით მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულებით, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში, წამება, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, რასობრივი დისკრიმინაცია და სხვა.
3. საქართველოს კონსტიტუციის 82(5) მუხლის თანახმად: “საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.” აღმასრულებელი

88 ინგლისურიდან თარგმნა - თინათინ ჯამასპიშვილმა

ხელისუფლების წარმომადგენელმა შეიძლება საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულების სხვაგვარი ინტერპრეტირება მოახდინოს და ამ შემთხვევაში ბრალდებულის უფლება - მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლში, არ იქნება გარანტირებული. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი - „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილება შეამციროს ან გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პოლიტიკური კონტექსტისა და ინტერესების მიხედვით. არსებობს რისკი, რომ მომავალში საქართველოს მთავრობა შეზღუდავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენებას მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეებზე გამოყენებით. საქართველოს კონსტიტუცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უბრალოდ პროფესიონალური სასამართლოების ალტერნატივად მოიხსენიებს და ზუსტად არ განმარტავს, თუ რა როლი უნდა ითამაშოს მან საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში.

4. რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მსგავსი კონსტიტუციური დებულებების ინტერპრეტაცია იმისათვის, რათა შეიზღუდოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს მსგავსად და აშშ-ს კონსტიტუციის ცვლილებებისგან განსხვავებით, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობას „ყველა სისხლის სამართლის საქმეში“ (აშშ-ს კონსტიტუცია, ცვილება VI) მოითხოვს, რუსეთის კონსტიტუცია ნაფიცი მსაჯულების შესახებ ბუნდოვან დებულებებს შეიცავს.
5. შედარებისათვის, რუსეთში სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მაგრამ არა ყველა სისხლის სამართლის საქმეში. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20 მუხლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი სარგებლობის უფლებას უზრუნველყოფს იმ საქმეებთან მიმართებაში, რომელთა შემთხვევაში სასჯელი სიკვდილით დასჯაა (რუსეთის კონსტიტუცია, მუხლი 20). თუმცა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ნაფიც მსაჯულთა გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ სიკვდილით დასჯით არ ზღუდავს. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 47-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ: “ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვს მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ფედერალური კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში”. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 123-ე მუხლის თანახმად: “ფედერალური კანონით განსაზღვრულ საქმეებში, მართლმსაჯულებას ახორციელებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო”. აღნიშნული მიუთითებს, რომ ერთი

მხრივ, რუსეთის ფედერაციის პარლამენტს შეუძლია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენება ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეში, ხოლო მეორე მხრივ, ბრალდებულს, მხოლოდ ფედერალური კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნა. ყველა ეს საქმე კი, არა დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე განისაზღვრება, არამედ რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს ტრადიციული იურისდიქციის საფუძველზე თითოეული სფეროს მიხედვით.

6. რუსეთში ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციის განსაზღვრის ეს მეთოდი წარმოდგენილი ანალიზის ავტორმა წარსულშიც გააკრიტიკა.⁸⁹ პირველ რიგში, სასამართლოს ტრადიციული კომპეტენცია ზოგჯერ მოიცავს ისეთ მსუბუქ დანაშაულებსაც, როგორიცაა: სასამართლოს შეურაცხყოფა და ცილისწამება მოსამართლესთან, ნაფიც მსაჯულთან, გამომძიებელთან ან საქმის მწარმოებელთან მიმართებაში, რომლებიც შედარებით მსუბუქ სასჯელს იმსახურებს. თუმცა, ის არ მოიცავს ზოგიერთ სერიოზულ დანაშაულს, როგორიცაა: თავდასხმა, რომელიც შედეგად მსხვერპლის სიკვდილს იწვევს; ერთი მსხვერპლის მკვლელობა არადამაძიმებელ გარემოებებში; ადამიანის გატაცების სხვადასხვა სახეობა; ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა; მონობა; ყველა ტიპის სექსუალური ძალადობა, გარდა გაუპატიურებისა, რომელსაც მამაკაცი ქალის წინააღმდეგ ახორციელებს და რომელიც საბოლოოდ მსხვერპლის სიკვდილით ან შიდსით დავირუსებით მთავრდება, ან მდებარეობითი სქესის ბავშვის წინააღმდეგ ახორციელებს; ძარცვა; გამოძალვა; ფულის გათეთრება, ყველა ეს დანაშაული მაქსიმუმ 15 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.
7. მეორე-ამ მეთოდის მეშვეობით, რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლობა ჰქონდა თვითნებურად შეემცირებინა იმ სასამართლოების კომპეტენცია, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იყენებდნენ და ზოგიერთი დანაშაულების შემთხვევაში იურისდიქცია პროვინციული დონის სასამართლოებიდან უფრო ქვედა დონის სასამართლოებში გადაეგზავნათ პოტენციური სასჯელის შეცვლის გარეშე ან ზოგიერთი ტიპის დანაშაულების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაქვემდებარებიდან გათავისუფლებით. რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის თანდათანობით შეზღუდვის პროცესი 2009 წელს დაიწყო და არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს.
8. 2008 წლის დეკემბერში, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ ექსპრეზიდენტის და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, დიმიტრი მედვედევის, მხარდაჭერით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

⁸⁹ ნ. კოვალიოვი (2010). სისხლის სამართლის რეფორმა რუსეთში, უკრაინასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ლუისტონი: The Edwin Mellen Press, გვ. 283.

იურისდიქცია 9 კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით გააუქმა, ესენია: ტერორისტული აქტების მოწყობა, მძევლად აყვანა; შეიარაღებული ფორმირების ორგანიზება, მასობრივი აჯანყება, სამშობლოს დალატი, ჯაშუშობა, ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდება, შეიარაღებული აჯანყება და საბოტაჟი.⁹⁰ ყველა ეს დანაშაული 30 წლით თავისუფლების აღკვეთით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

9. რუსეთში ტერორიზმის საქმეების ნაფიც მსაჯულთა დაქვემდებარებიდან მოხსნის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო, კანონპროექტის ავტორთა მტკიცება, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ამ ტიპის დანაშაულებზე ძალიან ბევრი გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი ტრაიბალიზმის, ანტისახელისუფლებო მიკერძობებისა და ნაფიც მსაჯულთა დაშინების⁹¹ გამო. თუმცა, საპარლამენტო მოსმენებისას კანონის ავტორებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მონაცემები ნაფიც მსაჯულთა სავარაუდო დაშინების ან მიკერძობების დასასაბუთებლად. კანონი უჩვეულოდ სწრაფად იქნა მიღებული და ძალაში 2009 წლის იანვარში შევიდა. ტერორიზმის საქმეებთან მიმართებაში, პოლიტიკოსების მიერ „ნაფიც მსაჯულთა დაშინების“ არგუმენტი „დაშინების“ რაიმე კონკრეტული მტკიცებულების გარეშე დასაშვები არ არის. 1970-იან წლებში, „დიპლოკის“ კომისიამ ზუსტად იგივე არტემენტები გამოიყენა ტერორიზმის საქმეების განხილვებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გასაუქმებლად ჩრდილოეთ ირლანდიაში.⁹²

10. როგორც ჩანს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემოთავაზება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის შემცირების შესახებ დაუსაბუთებელია და ნათელ კრიტერიუმებს არ ეფუძნება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციაში 24 სერიოზული დანაშაულის დაქვემდებარების მიუხედავად, 140-ზე მეტი სხვა სერიოზული დანაშაული,

⁹⁰ 2008 წლის დეკემბრამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის შემლუდვის რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობა განხორციელდა. 2007 წლის იანვარში, რუსეთის პარლამენტის სახელმწიფო დუმამ ჩააგდო კანონპროექტი, რომელიც ტერორიზმისა და რამოდენიმე სხვა დანაშაულის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების შესაძლებლობას გააუქმებდა. 2006 წლის იანვარში, პარლამენტის წევრმა, ნუხუშევ ზ. ა.-მ კიდევ ერთი კანონპროექტი წარმოადგინა, მაგრამ პარლამენტმა 2006 წლის მაისში უარი განაცხადა მის მიღებაზე. რუსი არასამთავრობოებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტების თანახმად, 2004 წელს, რუსეთის ფედერალურმა უსაფრთხოების სამსახურმა სცადა ლობირება გაეწია კანონპროექტისთვის, რომელიც სახელმწიფოს საიდუმლოს შემცველი საქმეების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე განხილვას გამოორიცხავდა. იხ. კოვალიოვი, შენიშვნა 2, გვ. 284.

⁹¹ ნ. კოვალიოვი და ა. სმირნოვი (2014), რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხასიათი: „Jurata Patriae“ ან „Raison d'Etat“, დანაშაულის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჟურნალი, 22, 115-133.

⁹² რ. ბ. ფინეგანი (2011), „რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ სიუ ჯენერის საქმიდან? გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ და ჩრდილოეთ ირლანდია. მ.ლ. ვოლცანსკი და ჯ.ფ. სტაკი, სასამართლოები და ტერორიზმი: 9 ქვეყნის ბალანსი უფლებები და უსაფრთხოება, ნიუ იორკი: Cambridge University Press, გვ. 78; კ. როაჩი (2011). 9/11-ის ეფექტი: შედარებითი კონტრ-ტერორიზმი. ნიუ იორკი: Cambridge University Press, გვ. 248.

რომელიც 7 და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, არ იქნა შეყვანილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციიდან გამორიცხული დანაშაულების უმეტესობა 10 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მაგალითად გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა, მძევლად აყვანა, ადამიანით ვაჭრობა, წამება, ქონების დაზიანება და განადგურება, ფულის გაყალბება, ბანდიტიზმი, აფეთქება, რადიოაქტიური მასალების უკანონო გაყიდვასა და გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულები, სხვადასხვა ნარკოდანაშაულები, სხვადასხვა სატრანსპორტო დანაშაულები, საქართველოს კონსტიტუციური წყობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაულები, ტერორისტული დანაშაულები. ზოგიერთი ეს დანაშაული უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მაგალითად: ნარკოტრეფიკინგი, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შელახვა, საბოტაჟი, ტერორიზმი, საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა, პოლიციის თანამშრომელზე თავდასხვა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული. საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტით ბევრი სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი, რომელსაც უფრო დიდი ზომით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, უფრო წამგებიან პირობებში იმყოფებიან, ვიდრე ისინი, ვისაც ნაკლებად მძიმე სასჯელი აქვთ მისჯილი. ეს უსამართლობაა და პოტენციურად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობის უფლებას (მუხლი 14), ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლს (იხ. ანალიზის მე-17 მუხლი).

11. ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქცია არ უნდა შეიზღუდოს საქართველოს მთავრობის მიერ დაუსაბუთებლად (თვითნებურად) შერჩეული 20 ან მეტი დანაშაულით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი მხოლოდ დანაშაულის დადგენის პროცესში ხალხის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არ არის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გარანტია. საიდუმლო არ არის, რომ პროფესიონალი მოსამართლეები, სახელმწიფო აპარატის წევრობიდან გამომდინარე, ყოველთვის უფრო ახლოს არიან სახელმწიფო ბრალდებასთან, ვიდრე დაცვასთან. პროფესიონალ მოსამართლესთან მიმართებაში ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ უფრო მიდრეკილია სახელმწიფოს ინტერესების დაცვისაკენ, რაც გარკვეულწილად მოსამართლეებს *iudex in propria causa*-ს ხდის.⁹³ მათგან განსხვავებით, ნაფიცი მსაჯულები მსგავსი

⁹³ სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპი, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის ლათინური ფორმულირება შემდგენიარად ჟღერს: *Nemo debet esse iudex in propria causa* – საკუთარ საქმეში მსაჯული ვერაფერ იქნება.

ეჭვებისაგან თავისუფალნი არიან და მხარეებს შორის სამართლიანი შეჯიბრის პირობებს ქმნიან.

12. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მაგალითად: რუსეთში 1994-2012 წლებში, ნაფიცმა მსაჯულებმა 15-22%⁹⁴ საქმეებში გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს, მაშინ როცა ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 1%⁹⁵ იყო. ასეთი დიდი სხვაობის მიზეზი ვერც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა იქნება და ვერც სასამართლო სისტემის განსაკუთრებული მიდგომა. მიზეზი ნაფიც მსაჯულთა და პროფესიონალ მოსამართლეთა მიერ მართლმსაჯულების სხვადასხვაგვარი აღქმაა. პროფესიონალი მოსამართლეები საკუთარ მიზნებს უფრო მეტად აიგივებენ სამართალდამცავ ორგანოთა მიზნებთან. სასამართლო მართლმსაჯულების მიზნად საზოგადოების დანაშაულისაგან გათავისუფლებას მიიჩნევს, ხოლო ნაფიც მსაჯულებს მართლმსაჯულება მისი პირდაპირი მნიშვნელობით ესმით, ანუ დავის კანონიერი და სამართლიანი მოგვარება.

13. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ნათლად განმარტა ნაფიც მსაჯულთა მისია ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში დუნკანი ლუიზიანას წინააღმდეგ (1968): “სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს უფლება აქვთ, ისარგებლონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი სახელმწიფოს მხრიდან შევიწროვების თავიდან აცილების მიზნით. ჩვენი კონსტიტუციის ავტორებისთვის ისტორიიდან და გამოცდილებით ცნობილი იყო, რომ აუცილებელი იყო დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის ბრალდებისაგან პირის დაცვა, როგორც მტრების, ასევე მოსამართლეებისაგან, რომლებიც ზედმეტად ითვალისწინებდნენ უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებებს. კონსტიტუციით დანესებული შეზღუდვები დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ამავედროულად, გადაჭრით მოითხოვდა დაუსაბუთებელი ქმედებებისაგან

⁹⁴ რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში მათ მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა შემდეგნაირი იყო: 1994 - 18.2%; 1995 - 19.3%, 1996 - 19.1%, 1997 - 22.9%, 1998 - 20.1%, 1999 - 16.0%, 2000 - 15.6%, 2001 - 15.2%; 2002 - 9.5%, 2003 - 14.4%. 2005-2012 წლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგი იყო: 17.6%, 17.3%, 20.6%, 20.7%, 18.6%, 16.9%, 15.1% და შესაბამისად 16.5%. იხ. ს. პაშინი და ლ. ლევისონი (2004). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: პრობლემები და ტენდენციები. მოსკოვი: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჰელსინკის ფონდი; უზენაესი სასამართლოს სასამართლო დეპარტამენტი რუსეთის ფედერაციაში (2015). სასამართლოს მონაცემთა სტატისტიკა, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.cdep.ru/index.php?id=79>.

⁹⁵ უკანასკნელი წლების განმავლობაში სასამართლოს (ერთი მისამართლისაგან, ან სამი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო) მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი შემდეგია: 2004 - 0.7%; 2005 - 0.7%; 2006 - 0.9%; 2007 - 1.06%; 2008 - 1.02%, 2009 - 0.97%, 2010- 1.01%; 2011- 1.06% and 2012 - 0.65%. იხ. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს დეპარტამენტი (2015). სასამართლოს მონაცემთა სტატისტიკა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.cdep.ru/index.php?id=79>.

დაცვის დამატებითი მექანიზმების შექმნას. ბრალდებულისათვის კორუმპირებული, თუ გედმეტად მონდომებული პროკურორისაგან და დამყოლი, მიკერძოებული ან ექსცენტრიული მოსამართლისაგან დაცვის შეუფასებელი მექანიზმია, როდესაც მის საქმეს მისივე თანაბარი მსაჯულებისაგან შემდგარი სასამართლო იხილავს [ხაზგასმულია].”

14. ყველაზე მწვავე კონფლიქტი პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის იმ სისხლის სამართლის პროცესზეა, სადაც ბრალდება ეხება სახელმწიფო ინტერესებისა და უსაფრთხოების ხელყოფას, მათ შორის ჯაშუშობას, სახელმწიფო დალატსა და ტერორიზმს. უბრალო დამთხვევა არ გახლავთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად: ავსტრიასა⁹⁶ და ბელგიაში,⁹⁷ პოლიტიკური სამართალდარღვევების შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენება გარანტირებულია ქვეყნის კონსტიტუციით. ამ მიდგომას სულ უფრო მეტად აღიარებს საერთაშორისო სამართალი. ამგვარად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საკუთარ ანგარიშში დაასკვნა, რომ „სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის პროცესები განსაკუთრებით სენსიტიური და პოლიტიკური მიზნებით მალიპულირებადია“.⁹⁸ კომიტეტმა, ასევე, განაცხადა, რომ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმეებში - „კითხვა იმის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია უკვე საჯარო საკუთრებაა თუ არა, ყოველთვის ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადანყვიტონ და დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოსამართლემ ყველა შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს“.⁹⁹
15. საერთაშორისო ორგანომ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გააკრიტიკა ირლანდიაში გარკვეული სისხლის სამართლის საქმეების პროფესიონალი სასამართლოებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციიდან გამორიცხვა. ირლანდიის კონსტიტუციის თანახმად, სპეციალური სასამართლო იქმნება: „ისეთი სამართალდარღვევის საქმეთა განსახილველად, რომლებიც განსაზღვრულია [...] კანონით და რომელთა შემთხვევაში ჩვეულებრივი სასამართლო არაადეკვატურია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად

⁹⁶ ავსტრიის კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულები მონაწილეობენ “ყველა პოლიტიკური სისხლის სამართლის და ნაკლებად მძიმე დანაშაულის განხილვაში (allen politischen Verbrechen)”.

⁹⁷ ბელგიის კონსტიტუციის 150-ე მუხლის თანახმად: “ნაფიც მსაჯულები მონაწილეობენ ყველა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, ასევე პოლიტიკური და მასმედიასთან დაკავშირებული გადაცდომების განხილვაში”.

⁹⁸ PACE (2006). სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ანგარიში სამართლიანი სასამართლოს საკითხებზე სისხლის სამართლის საქმეში, რომლებიც ეხება ჯაშუშობას და სახელმწიფო საიდუმლოებების გამჟღავნებას, დოკ. 11031, 25 სექტემბერი, პარაგრაფი 10. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=9149&lang=EN>.

⁹⁹ იქვე, პარაგრაფი 10.8.

და საზოგადოებრივი მშვიდობისა და წესრიგის დასაცავად.”¹⁰⁰

16. მოქმედი სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლო ახლიდან ჩამოყალიბდა 1972 წლის სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ (განზრახი დანაშაულები) ჩადენილი დანაშაულების გამო. ამ საქმეების განხილვის იურისდიქცია ჩვეულებრივი სასამართლოებიდან სპეციალურ სასამართლოებს გადაეცათ ისეთი სერიოზული დანაშაულების შემთხვევაში, რომელთაც „დაგვემილ დანაშაულებს“ უწოდებენ. სპეციალური სასამართლოები დაკომპლექტებულია მხოლოდ პროფესიონალი იურისტებით, როგორებიც არიან მოსამართლეები, ადვოკატები ან ბარისტერები არანაკლებ 7 წლიანი გამოცდილებით ან/და არანაკლებ მეთაურის წოდების მქონე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებით. სასამართლო უნდა შედგებოდეს კენტი რაოდენობის, სულ მცირე სამი წევრისაგან, რომლებიც ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის გამამტყუნებელ განაჩენს და სასჯელის განსაზღვრას ახორციელებენ ხმათა უმრავლესობით.¹⁰¹ სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული დანაშაულები არ ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნის უფლებას და სხვა საპროცესო გარანტიებს. ირლანდიის მოქალაქეს, ბ-ნ. კავანას ბრალად ედებოდა რამოდენიმე დანაშაულის ჩადენა, რომელიც დაკავშირებული იყო უკანონო თავისუფლების აღკვეთასთან და ირლანდიური საბანკო კომპანიის პრეზიდენტზე და მის ოჯახზე საკუთარ სახლში, შვიდკაციანი ჯგუფის მიერ, განხორციელებულ თავდასხმასთან.¹⁰² ბ-ნ კავანას, როგორც ჯგუფის წევრს, ბრალი ედებოდა 6 გაუფრთხილებლობით დანაშაულში და ერთ განზრახ დანაშაულში (ყალბი თავისუფლების აღკვეთის განხორციელების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა). ყველა ბრალდების შეკრების შემდეგ და მას შემდეგ, რაც ბნ. კავანამ ყველა შესაძლო საპროცესო დარღვევის გასაჩივრების შესაძლებლობა ამოწურა, ის სპეციალურმა კრიმინალურმა სასამართლომ გაასამართლა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე და ხანგრძლივადიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მან სარჩელით მიმართა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს ირლანდიის რესპუბლიკის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის 1 პარაგრაფის და მე-3(ა), მუხლის, მე-4 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების, მე-14 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პარაგრაფების, 26-ე მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნმა კავანამ სხვებთან ერთად ის ფაქტიც აღიარა, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნის უფლება [...] პირდაპირ (არ) არის გაცხადებული მე-14 მუხლის მე-3 პარაგრაფში წარმოდგენილ

¹⁰⁰ ირლანდიის კონსტიტუცია, მუხლი 38(1).

¹⁰¹ სახელმწიფო აქტის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, 1939, ss. 39 და 40.

¹⁰² ჯომეფ კავანა ირლანდიის წინააღმდეგ, განაცხადი #819/1998, U.N. Doc.26/04/2001 CCPR/C/71/D/819/1998 (2001), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/%28Symbol%29/c212fa4739276fb9c1256a6c0028e60c?Opendocument>.

ჩამონათვალში, ის ამტკიცებდა, რომ „მთლიანობაში მუხლის მიზანია, ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარანტიების უზრუნველყოფა“. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნის უფლება, როგორცერთ-ერთი „მთავარი გარანტია“ თანაბრად უზრუნველყოფილი ირლანდიის იურისდიქციით მე-14 მუხლში“. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საკუთარ გადაწყვეტილებაში ჯობეფ კავანა ირლანდიის წინააღმდეგ დაასკვნა, რომ მოსარჩელესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლით უზრუნველყოფილი სამართლის წინაშე თანასწორობისა და სამართლით თანაბრად დაცულობის უფლების დარღვევას.¹⁰³

17. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტმა აღიარა შემდეგი: „ჩვეულებრივი სასამართლოს გარდა, სხვა სასამართლოს გამართვა აუცილებლად სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას არ წარმოადგენს“, მან განაცხადა, რომ „სახელმწიფომ ვერ შეძლო იმის დასაბუთება, რომ გადაწყვეტილება ბ-ნ. კავანას სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გასამართლების შესახებ დასაბუთებულ და ობიექტურ საფუძვლებს ეფუძნებოდა“.
18. უფრო მეტიც, კომიტეტის 16 წევრიდან ხუთმა განსხვავებული მოსაზრება მოამზადა, რომლის თანახმად, ხსენებულ შემთხვევაში სახელმწიფომ, ასევე, დაარღვია თანასწორობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფილია პაქტის მე-14 მუხლის 1-ლი პარაგრაფით.¹⁰⁴
19. უფრო მოგვიანებით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა „შემოთება სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლოს უწყვეტი ფუნქციონირების გამო“ ირლანდიაში და რეკომენდაცია მისცა ირლანდიის მთავრობას - გადაეხედა „ირლანდიაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რამდენად გამართლებული იყო სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლოს არსებობა და ხომ არ იყო საჭირო მისი გაუქმება.“¹⁰⁵
20. ვინაიდან საქართველოს, ასევე, რატიფიცირებული აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების შემოთავაზებული ვერსია, რომელიც მიზნად ისახავს ზოგიერთი სერიოზული დანაშაულის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის გამორიცხვას, პოტენციურად არღვევს პაქტის დებულებებს და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა საერთაშორისო მექანიზმებს, როგორცაა - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა

¹⁰³ იქვე, პარაგრაფი 10.3.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი (2008). პაქტის მე-40 მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნითი მიგნებები CCPR/C/IRL/CO/3, 30 ივლისი, პარაგრაფი 20.

დაცვის ევროპული კონვენცია.

21. რამოდენიმე ქართულმა კვლევითმა ცენტრმა გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც შეშფოთება გამოთქვეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციაში ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაულის დამატებისა და სხვათა გაუქმების შესახებ, რომლებიც ერთი და იგივე სასჯელით ისჯება.¹⁰⁶

ნაფიცი მსაჯულის მოვალეობების შესრულების დაუშვებლობა/ შეუთავსებლობა

22. კანონპროექტი მიზნად ისახავს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობების შესრულების უფლება მიანიჭოს პირებს, რომელთაც პროფესიიდან გამომდინარე, ევრძალებათ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობების შესრულება. კონკრეტულად კი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი გვთავაზობს, რომ უფლება მიცვეთ პოლიციის ოფიცრებს, გამომძიებლებს, ადვოკატებს, ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს მონაწილეობა მიიღონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში. ამ ცვლილების დასასაბუთებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმოდგენილი აქვს ბელგიისა და საფრანგეთის პრაქტიკა, სადაც ამ პროფესიის პირების ავტომატური დისკვალიფიკაცია არ ხდება. თუმცა, ბევრი სხვა ქვეყანა ავტომატურად დისკვალიფიკაციას აძლევს პირებს, რომლებიც თავისი პროფესიიდან გამომდინარე, დაკავშირებული არიან სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან, მათ შორის ადვოკატებს და პოლიციის ოფიცრებს. ბევრი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის ავსტრიის, დანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ნორვეგიის, ესპანეთისა და შვედეთის გამორიცხავს ამ პროფესიის ადამიანების ნაფიც მსაჯულთა პროცესში მონაწილეობას.¹⁰⁷ ამ პროფესიის ადამიანთა დისკვალიფიკაციას ბევრი სხვა ქვეყანაც ახდენს, მათ შორის ავსტრალია, კანადა¹⁰⁸ და აშშ-ს ბევრი შტატი.¹⁰⁹

¹⁰⁶ ილიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევის ცენტრის, სასამართლოს გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი განცხადება ნაფიც მსაჯულთა შესახებ დებულებებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, 2015 წლის 30 ოქტომბერი, იხ. ბმული http://nihr.freeuni.edu.ge/uploads/files/gantskhadeba_jury.pdf.

¹⁰⁷ ეს მონაცემები მოპოვებულია ევროპის საბჭოს სამართლის ექსპერტთა გამოკითხვის მეშვეობით, რომელიც 2011-2013 წლებში, ჯონ ჯექსონმა და ნიკოლაი კოვალიოვმა ჩაატარეს. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება სტატიაში: ჯ. ჯექსონი და ნ. კოვალიოვი, არაპროფესიონალთა სასამართლო ევროპაში: ტრადიციული ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს აღმასვლა და დაცემა, *Oñati Socio-Legal Series*.

¹⁰⁸ დ.მ. ტანოვიჩი, დ.მ. პასიოკო და ს. შკურვა (1997). ნაფიც მსაჯულთა შერჩევა სისხლის სამართლის პროცესში. ტორონტო: Irwin Law.

¹⁰⁹ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი (1998). სახელმწიფო სასამართლო ორგანიზაცია. <http://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco9806.pdf>.

23. სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში ჩართული პროფესიონალების ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში მონაწილეობამ შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს საქართველოში. რთულია დაეთანხმო კანონპროექტის ავტორთა არგუმენტს იმის შესახებ, რომ პოლიციის ოფიცრების ან გამომძიებლების ნაფიც მსაჯულებად გამოსვლის შემთხვევაში მათი მიკერძოებულების რისკი დაბალი იქნება, ვინაიდან ზოგიერთ ქართველ გამომძიებელს, პოლიციის ოფიცერსა და სახელმწიფო საიდუმლო სამსახურის თანამშრომელს ძლიერი საბრალდებო მიკერძოება ახასიათებს ბრალდებულთა მიმართ, შესაბამისად, ამ პროფესიის პირთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობამ შეიძლება დააზარალოს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობა. არსებობს საფრთხე, რომ პოლიციის ოფიცერმა ნაფიც მსაჯულად გამოსვლისას, პროცესის თავმჯდომარე მოსამართლის მითითებების მიუხედავად, შეიძლება სხვა ნაფიც მსაჯულებს აცნობოს დაუშვებელი მტკიცებულების შესახებ, რომელიც მან სხვა კოლეგა ოფიცრისაგან შეიძლება მოიპოვოს, მაგალითად, ბრალდებულის ნასამართლეობასთან დაკავშირებული ფაქტები. გარდა ამისა, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ზემდგომმა პირებმა ან კოლეგებმა, რომლებიც პირდაპირ არიან დაინტერესებული საქმის შედეგით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავი პირების მონაწილეობამ შეიძლება, ასევე, შეასუსტოს კონკრეტული ნაფიცი მსაჯულის დამოუკიდებლობაც.
24. კანონპროექტის ავტორები ასევე ფიქრობენ, რომ „კანონი ორივე მხარეს აძლევს ნაფიცი მსაჯულის კანდიდატურის დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილების უფლებას, შესაძლო მიკერძოებულობის მიზეზით.“ თუმცა, თეორიულად დაცვის მხარეს უფლება აქვს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში კანდიდატი დაუსაბუთებლად ან დასაბუთებლად აიცილოს, პრაქტიკაში ეს ხშირად რამოდენიმე მიზეზის გამოა რთული. პირველი, ზოგჯერ დაცვის მხარემ შეიძლება არ იცოდეს, რომ ნაფიცი მსაჯულის კანდიდატი პირი სამართალდამცავია. მეორე, დაცვის მხარემ რომც იცოდეს, რომ კანდიდატი პოლიციის ოფიცერი ან ნებისმიერი სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელია, ნაფიცი მსაჯულის კანდიდატურის დასაბუთებული აცილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მის შესაძლო მიკერძოებულობას. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს დაუსაბუთებლად აიცილოს კანდიდატი, თითოეულ მხარეს მხოლოდ 6-ჯერ შეუძლია აცილების დაყენება ყველა იმ საქმეში, სადაც წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქ სასჯელს.
25. ჩემს პოზიციას, პოლიციის ოფიცრებისა და გამომძიებლების ნაფიცი მსაჯულობის შემთხვევაში არასწორი ზეგავლენის რისკთან დაკავშირებით ზოგიერთი ქართველი მოსამართლეც იზიარებს. საქართველოს უზენაესი

სასამართლოს მოსამართლეებთან შეხვედრისას ვისაუბრეთ იმაზე, რომ პოლიციის თანამშრომლები და იურისტები ნაფიც მსაჯულებად არ უნდა იქნენ არჩეული. ამ თვალსაზრისით, ვინაიდან ქართველი ხალხის სამართლებრივი კულტურა ამერიკელებთან შედარებით დაბალია, იურისტის ან პოლიციის თანამშრომლის ყოფნამ სათათბირო ოთახში შეიძლება, დააშინოს და არასწორი შეგავლენა მოახდინოს იმ ნაფიც მსაჯულებზე, რომლებიც ნაკლებად კვალიფიციურნი არიან სამართლის სფეროში.¹¹⁰

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ღია სხდომა

26. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის არსებული ფორმულირებით, ფართო საზოგადოებას უფლება აქვს დაესწროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას. შემოთავაზებული ცვლილების მიზანია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა ფართო საზოგადოებისათვის დახურული გახდეს. ჩემი აზრით, ეს ცვლილება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით,¹¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა¹¹² და საქართველოს მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით¹¹³ გარანტირებულ ღია მართლმსაჯულებისა და საჯარო სასამართლო პროცესის პრინციპებს. საზოგადოების ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე არ დაშვება არ ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს. პირიქით, ეს დაასუსტებს საზოგადოების ნდობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისადმი. ჩემთან შეხვედრისას აღნიშნული ცვლილების პროექტის შესახებ სისხლის სამართლის სფეროს ექსპერტებმა განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს. ერთი მხრივ, ზოგიერთი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ დახურული სხდომა ეწინააღმდეგება “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსს, ვინაიდან სწორედ სასამართლოს ღიაობა არის სასამართლო სისტემისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის გარანტი”. მეორე მხრივ, ზოგიერთი მოსამართლე, რომელსაც აქვს ნაფიც მსაჯულთა სხდომაზე თავჯდომარედ ყოფნის გამოცდილება მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა დახურული უნდა იყოს. მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის დახურვა აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მიზნით.¹¹⁴ ერთ-

¹¹⁰ შეხვედრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, 2015 წლის 13 ოქტომბერი.

¹¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(1).

¹¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10(1).

¹¹³ იხ. მაგ: მუხლი 14(1), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი; 6(1), ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია.

¹¹⁴ ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა, 2015 წლის 16 ოქტომბერი, თბილისი.

ერთი მოსამართლის განცხადებით, ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს შეიძლება უხერხულობა შეექმნათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და სხვა დელიკატურ საკითხებზე საჯაროდ საუბრისას. მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები მოსამართლის ამ პოზიციას, რომ პოტენციური მსაჯულების კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობა საჯაროდ არ უნდა გაცხადდეს, მიმაჩნია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ნაფიც მსაჯულთან შერჩევის სხდომის დახურვის გარეშეც შეიძლება. ჯანმრთელობის მდგომარეობის მსგავსი სენსიტიური საკითხების შესახებ მოსამართლის ინფორმირება ადვოკატმა შეიძლება მოსამართლესთან მიახლოებით ან სასამართლო დარბაზის იმ ნაწილში განახორციელოს, საიდანაც ხმას საზოგადოება ან ნაფიცი მსაჯულობის შესაძლო კანდიდატები ვერ გაიგებენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ადვოკატის მოსამართლესთან მიახლოება ინფორმირების მიზნით საქართველოშიც გამოიყენება, ვინაიდან 2015 წლის ოქტომბერში, თბილისის საქალაქო სასამართლოში პირადად ვნახე ეს პროცესი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომაზე. ეს ღონისძიება საკმარისად ეფექტურია ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დასაცავად.

27. დახურული სხდომების სასარგებლოდ კიდევ ერთი პოტენციური არგუმენტი არსებობს, კერძოდ კი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების უსაფრთხოების დაცვა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხდომის დახურვა ვერ უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა დაშინების ან მანიპულირების რისკის თავიდან აცილებას. როგორც მრგვალი მაგიდის ერთ-ერთმა მონაწილემ, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ნარმომადგენელმა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს რეზიდენტმა მრჩეველმა სამართლის საკითხებში, ბ-ნ. მაიკლ გრანტმა განაცხადა, სხდომის დახურვა ნაფიცი მსაჯულების დაცვას ვერ უზრუნველყოფს.¹¹⁵ მისი აზრით, ნაფიც მსაჯულთა მოსყიდვის/ მანიპულირების თავიდან ასაცილებლად უფრო ეფექტური მექანიზმი იმ პირთა გასამართლება და დასჯაა, ვინც ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენას შეეცდებიან. რთულია, არ დავეთანხმოთ ამ პოზიციას. მართლაცდა მხარეებს, რომელთაც ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენა სურთ, შეუძლიათ დახურული სხდომის დროს ნაფიცი მსაჯულების შესახებ მიღებული ინფორმაცია მიაწოდონ ნათესავებს ან თანამონაწილეებს, რომლებიც პატიმრობაში არ იმყოფებიან.

ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის როგორც მოქმედი, ასევე შემოთავაზებული ფორმულირება ადგენს, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეს, საქართველოს

¹¹⁵ იქვე.

უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის თანხმობით, უფლება აქვს საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ჩემი აზრით, ეს დებულებები ძალიან ბუნდოვანია. არც მოქმედი და არც შემოთავაზებული კანონპროექტი არ განსაზღვრავს ზუსტ კრიტერიუმებს ან პრინციპებს, რომლის საფუძველზეც უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება - ემუქრება თუ არა რეალური საფრთხე ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას მათი პროცესში მონაწილეობით. კანონი არ მიუთითებს - მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება დაცვის ადვოკატთან კონსულტაციით უნდა მიიღოს თუ კონსულტაციის გარეშე. კანონმა ზუსტად უნდა განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ შეუძლია ჩამოართვას ბრალდებულს უფლება ისარგებლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესით. შუამდგომლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნის უფლების ჩამორთმევის შესახებ ბრალდების მხარემ უნდა დააყენოს, ხოლო დაცვას უნდა მიეცეს შუამდგომლობის აცილების შესაძლებლობა.

29. მრგვალი მაგიდის შეხვედრის რამოდენიმე მონაწილემ შეშფოთება გამოთქვა ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოებისა და მათი ბენოლისაგან დაცვის საკითხების შესახებ. კერძოდ კი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნ. ეკა ხუციშვილმა, შემდეგი საკითხი დააყენა: “საქართველოს კანონი სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ნებისმიერი პირის, მათ შორის სამართალდამცავი პირების მხრიდან ნებისმიერი სახის ბენოლისაგან დაცვის მოქნილ და სწორ მექანიზმს არ გვთავაზობს.”¹¹⁶ მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას და უმჯობესია კანონპროექტის ავტორებმა ბრალდებულისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნის უფლების ჩამორთმევის ნაცვლად, სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა დაცვის ეფექტური მექანიზმი შეიმუშავონ. ჩემი აზრით, სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების უსაფრთხოება პოლიციისა და პროკურატურისაგან დამოუკიდებელმა სამსახურებმა, მაგალითად, სასამართლოს მანდატურებმა უნდა უზრუნველყონ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმა

30. შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად, ბრალდებულს უფლება ექნება უარი თქვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და მოითხოვოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ საქმის განხილვა. ეს პრაქტიკა შეესაბამება მსოფლიოში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სისტემების თითქმის უმეტესობას და არ არღვევს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუკი მისი უარი ნებაყოფლობითი და გაცნობიერებულია. ჩემი აზრით, უნდა შეიცვალოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226(2)-

¹¹⁶ ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა, 2015 წლის 16 ოქტომბერი, თბილისი.

ე მუხლის ფორმულირება და განისაზღვროს, რომ მოსამართლეს შეუძლია დააკმაყოფილოს ბრალდებულის უარი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობაზე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დარწმუნდება, რომ ბრალდებულს შესაძლებლობა ჰქონდა ეს საკითხი ადვოკატთან განეხილა. როგორც მოგვიანებით ამ ანალიზში ვისაუბრებთ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება შეიძლება დამცავ მექანიზმად იქნას გამოყენებული იმ ბრალდებულებთან მიმართებით, რომლებიც უპირატესობას პროფესიონალი მოსამართლის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ანიჭებენ ნაფიც მსაჯულთა დაუსაბუთებელ ვერდიქტთან შედარებით.

ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის წესი

31. 2009 წელს, საქართველოს კანონმდებლობამ დაადგინა ვერდიქტის გამოტანის ზოგადი წესი, რომლის თანახმად, ნაფიცმა მსაჯულებმა პასუხი უნდა გასცენ მარტივ კითხვას - დამნაშავეა თუ არა ბრალდებული თითოეულ წარდგენილ ბრალდებაში. კანონპროექტი ამ წესის ვერდიქტის გამოტანის სპეციალური წესით ჩანაცვლებას გვთავაზობს, რომლის თანახმად, ნაფიცმა მსაჯულებმა 4 კითხვას უნდა გასცენ პასუხი გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში და 5 კითხვას გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში.
32. წარმოდგენილი ცვლილებების დასასაბუთებლად, კანონპროექტის ავტორებმა მითითება გააკეთეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ. კერძოდ, განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან მიმართებაში დაადგინა, რომ ბუნდოვან და ზოგად კითხვებზე გაცემული ლაკონური პასუხები, ასევე, ბრალდებულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის მიღების ვერ დასაბუთებამ ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის უსამართლო პროცესამდე მიგვიყვანა [ხაზგასმულია].
33. *ტაქსკეტის* საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2 გადაწყვეტილება მიიღო. პირველი გადაწყვეტილება 2009 წლის 13 იანვარს 7 მოსამართლისაგან შემდგარმა პალატამ მიიღო.¹¹⁷ თუმცა, მოგვიანებით, ბელგიის მთავრობის მოთხოვნით, დიდი პალატის პანელმა გადაწყვიტა საქმე განსახილველად დიდი პალატისათვის გადაეგზავნა. 17 მოსამართლისაგან შემდგარმა დიდმა პალატამ გადაწყვეტილება 2010 წლის 16 ნოემბერს მიიღო.¹¹⁸ განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორებმა არ მიუთითეს, თუ რომელი გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობდნენ საკუთარი პოზიციის დასაბუთებისას, თუმცა,

¹¹⁷ განაცხადი #926/05, 2009 წლის 13 იანვარი.

¹¹⁸ განაცხადი #926/05, 2010 წლის 16 ნოემბერი.

როგორც ჩანს, მათ პირველი გადაწყვეტილებით იხელმძღვანელეს.

34. დიდმა პალატამ ძალაში დატოვა პირველი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთათვის დასმული შეკითხვები არ აძლევდა მოსარჩელეს იმის გარკვევის საშუალებას სასამართლოზე განხილულმა რა მტკიცებულებებმა და ფაქტობრივმა გარემოებებმა უბიძგეს ნაფიც მსაჯულებს წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღებისაკენ. თუმცა, დიდმა პალატამ პირველი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, განაცხადა, რომ არსებული პრაქტიკა “არ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისაგან მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ აძლევს ბრალდებულს უფლებას, უარი თქვას არაპროფესიონალ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, თუნდაც ამ უკანასკნელმა არ წარმოადგინოს ვერდიქტის დასაბუთება”.¹¹⁹
35. ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა პრინციპი, რომ “სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულს და საზოგადოებას უნდა ესმოდეს გამოტანილი ვერდიქტი; ეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებისაგან დაცვის უმთავრესი მექანიზმია.”¹²⁰ ამავდროულად, პალატამ ჩათვალა, რომ ვერდიქტის გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი: “პროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობით პროცესში, ბრალდებულის ინფორმაციას ბრალეულობის შესახებ პირველ რიგში სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული დასაბუთებით იგებს. [...] ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში [...] მე-6 მუხლი მოითხოვს შეფასებას იმის შესახებ, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები, რათა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკი თავიდან ყოფილიყო აცილებული [...]. ასეთი საპროცესო გარანტიები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, სხდომის თავჯდომარის მიერ სამართლებრივი საკითხების შესახებ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემულ მითითებებს ან სახელმძღვანელო პრინციპებს, ან წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმულ ზუსტ, მიზანმიმართულ კითხვებს.”¹²¹
36. დიდი პალატის გადაწყვეტილება კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემები, მაგალითად: გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიის რესპუბლიკაში და საქართველოში, რომელიც ზოგადი ვერდიქტის საფუძველზე გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას გულისხმობს, შეესაბამება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს.

¹¹⁹ იქვე, პარაგრაფი 90.

¹²⁰ იქვე, პარაგრაფი 90.

¹²¹ იქვე, პარაგრაფები 91-92.

37. დიდი პალატის პოზიცია კიდევ ერთხელ გაამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო ხანებში მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქმეზე ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ბავშვებზე არაერთ სექსუალურ ძალადობაში ბრალდებულ მოსარჩელეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ დაირღვამის სასამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლება.¹²² ტაქსკეტის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ბ-ნ. ჯაჯი ჩიოდა, რომ “შოტლანდიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ვერ შეძლო საკუთარი გადაწყვეტილების საფუძვლების წარმოდგენა და ამიტომ მას არ შეეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.”¹²³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად უარყო მისი სარჩელი და ამ კონკრეტული საფუძვლით დაუშვებლად მიიჩნია. საფუძვლებში 7-მა მოსამართლემ დაადგინა შემდეგი: “საქმე ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - შოტლანდიის სასამართლო სისტემაში არ არსებობს არცერთი ის ფუნქცია, რომლის საფუძველზე დიდმა პალატამ ტაქსკეტის საქმეზე მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა. პირიქით, შოტლანდიაში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი იზოლირებულად კი არ იწერება, არამედ მოქცეულია წესში, რომელიც მოიცავს ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიმართვებს, ასევე, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალის გაცნობას. ამასთან, შოტლანდიის კანონი უზრუნველყოფს ზუსტი ზღვარის გავლებას მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების როლებს შორის: მოსამართლის მოვალეობაა - უზრუნველყოს პროცესის სამართლიანად წარმართვა და ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებული კანონი; ხოლო, ნაფიცი მსაჯულების მოვალეობაა - მიღებული მითითებების გათვალისწინება და ფაქტების დადგენა. გარდა ამისა, მართალია, ნაფიცი მსაჯულები “ფაქტების განმკარგველები” არიან, მაგრამ სხდომის თავმჯდომარის მოვალეობაა - დათანახმდეს, რომ არ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუკი ის დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი ბრალდებულის ბრალეულობის დასამტკიცებლად. ეს გახლავთ, ზუსტად ის საპროცესო გარანტიები, რომლებიც დიდმა პალატამ ტაქსკეტის საქმეში გაითვალისწინა. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ის იმის გამო, რომ მან მიიღო თითოეულ ბრალდებასთან მიმართებაში მომჩივანის მტკიცებულება და ამის საფუძველზე უარყო მის მიერ წარმოდგენილი მოვლენათა განვითარების ვერსია. და ბოლოს, ტაქსკეტის საქმეში გათვალისწინებული ბელგიური გასაჩივრების წესებისაგან განსხვავებით, შოტლანდიის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების უფლება საკმარისია იმისათვის, რომ გამოსწორდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ნებისმიერი არასწორი

¹²² განაცხადი # 35863/, 2011 წლის 8 თებერვალი.

¹²³ იქვე, პარაგრაფი 25.

ვერდიქტი. სააპელაციო სასამართლოს გააჩნია საქმის გადახედვის უფლებამოსილება და შეუძლია ბათილად ცნოს ნებისმიერი ბრალდება, რომელიც წარმოადგენს არასწორ მართლმსაჯულებას/სასამართლოს შეცდომას. კერძოდ კი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს ნაფიც მსაჯულთა ნებისმიერი ვერდიქტი, რომელიც ლოგიკურად არათანმიმდევრული ან არარაციონალურია. აქედან გამომდინარე, ტაქსკეტის საქმისაგან განსხვავებით, განმცხადებლის მიმართ საკმარისი გარანტიები არსებობდა, რათა გაგვეგო, თუ რატომ ცნეს ის დამნაშავედ და მიკერძოების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ დასაბუთების წარმოუდგენლობით ადგილი არ ჰქონია უსამართლო სასამართლო პროცესს. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის ეს ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს ამკარა დაუსაბუთებლობის გამო”.¹²⁴

38. მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველ ეტაპზე საქმეზე შალა ნორვეგიის წინააღმდეგ, რომელშიც მომჩივანი (დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფების წევრი, რომელიც ნორვეგიაში 48 კილოგრამი ამფეტამინის იმპორტირებისთვის იქნა გასამართლებული) ამტკიცებდა, რომ მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვა, ვინაიდან “ნორვეგიის სასამართლომ ვერ შეძლო მისი გასამართლების ადეკვატური მიზეზების წარმოდგენა.”¹²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მისი სარჩელი დაუსაბუთებლად და დაუშვებლად ცნო. საკუთარი გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა: “ნორვეგიის ნაფიც მსაჯულთა სისტემის დაცვის მექანიზმების და მოცემულ საქმეში მათი გამოყენების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკებზე არაფერი მიანიშნებდა, ასევე, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ განმცხადებელმა ვერ გაიგო მისი ბრალდების საფუძვლები. შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტში საფუძვლების არ გაცხადება არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.”¹²⁶

39. სამართლის სხვადასხვა სპეციალისტები აკრიტიკებდნენ სპეციალური ვერდიქტების გამოტანის სისტემას, რომელიც მე-19 საუკუნეში ზოგიერთმა ევროპულმა ნაფიც მსაჯულთა სისტემამ მიიღო. თავდაპირველად, სპეციალური ნაფიცი მსაჯულების სისტემა საფრანგეთში შემოიღეს 1787 წლის რევოლუციის შემდეგ და მოგვიანებით ის ევროპის სხვა ქვეყნებშიც გადაიღეს.

40. ფრანგული სპეციალური ვერდიქტის სისტემის ერთ-ერთი პირველი

¹²⁴ იქვე, პარაგრაფები 36-39.

¹²⁵ განცხადება #1195/10, 2012 წლის 10 ივლისი, პარაგრაფი 25.

¹²⁶ იქვე, პარაგრაფი 41.

კრიტიკოსი იყო მიტერმაიერი, რომელიც წერდა:

ფრანგული სისტემის უარყოფითი მხარე ყველა განათლებული ადამიანისთვის უკეთესად რომ წარმოვაჩინოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უამრავ უშედეგო კამათს იწვევს პროკურორსა და ადვოკატს შორის იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კითხვების ფორმულირება და რა ალტერნატივები უნდა იქნას წარდგენილი. ნაფიც მსაჯულებს აშინებს სათათბირო ოთახში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მიერ წარმოდგენილ პასუხებში შეცდომებს შენიშნავს. სისტემის დახლართულობა უამრავი საარჩევლის აღძვრას განაპირობებს, რაც დროისა და ფულის ფუჭ ხარჯვას იწვევს.¹²⁷

41. მე-19 საუკუნის კიდევ ერთი მეცნიერი, ფონინციკი ამტკიცებდა, რომ მე-19 საუკუნის რუსეთში ბრალეულობის შესახებ ფუნდამენტური კითხვების სამ სხვადასხვა სფეროდ დაყოფა “დიდ გაუგებრობებს იწვევდა, რამაც დაადასტურა ამ სისტემის გაუქმებისა და მხოლოდ ბრალეულობის შესახებ ერთი ზოგადი კითხვის დასმის აუცილებლობა.”¹²⁸
42. იგივე მოსაზრება გამოთქვა კონიმ თავის მიმართებაში 1894-1899 წლების რეფორმების კომისიისადმი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ნ.ვ. მურავიოვი ხელმძღვანელობდა:

ნაფიცი მსაჯულებისათვის კითხვების მომზადება სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს არათანმიმდევრული გასაჩივრების პრაქტიკა “სამართლებრივი ტერმინებისა” და “ჩვეულებრივი ფრაზების” განსხვავებასთან მიმართებით და დანაშაულის შემადგენლობის აღწერის მოთხოვნა. შედეგად, სასამართლოები ხშირად კითხვების ლაკონურად ფორმულირებისთვის საჭირო დროის უქონლობის გამო, დეტალურად წერენ მათ და ნაფიცი მსაჯულებისთვის რთულია კითხვის მთავარი ნაწილის განსაზღვრა [...]. ხშირად მიუთითებდნენ ინლისურ წესზე, რომლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს სცემენ საბრალდებო დასკვნის ბოლო კითხვას (დამნაშავეა თუ არა ბრალდებული), სხვა კითხვების დართვის გარეშე.¹²⁹

43. როგორ ჩანს, თანამედროვე კანონმდებლები ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, არ იცნობდნენ ისტორიას და სპეციალური ვერდიქტის სისტემის მიღებით იგივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებიც მე-19 საუკუნის იურისტებს აქვთ აღწერილი.
44. სტეფან თამანმა თავის კვლევაში, რომელიც რუსეთში ჩატარებულ პირველ 114 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომას (1995: 114-123) ეხებოდა, მიმოიხილა გამოყენებული კითხვების ჩამონათვალი. თამანმა

¹²⁷ მიტერმაიერი სი. (1869). ევროპელი და ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები, რუსულად ნათარგმნია გერმანულიდან, ვ. მოლჩანოვა, მოსკოვი: ტიპოგრაფია ა.ი. მამონცოვა, გვ. 145.

¹²⁸ ფონინციკი, ი. ია. (1996). სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კურსი, სანქტ-პეტერბურგი, ალფა, გვ. 457-458.

¹²⁹ კონი ა.ფ. (1966). ნაშრომების კრებული 8 ტომად. მოსკოვი: იურიდიული ლიტერატურა, ტომი IV, გვ. 273.

ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ სპეციალური ვერდიქტის სისტემა შემდეგ პრობლემებს იწვევს: 1. ზოგიერთი მოსამართლე ძალიან გრძელ და რთულ კითხვებს ამზადებს, “რომლებიც ისეთ დეტალებს შეიცავენ, რომლებიც არ არის მნიშვნელოვან სამ ფუნდამენტურ კითხვაზე პასუხის გასაცემად”; 2. ნაფიც მსაჯულებს უხდებათ გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ “დანაშაულთან დაკავშირებულ მთავარ ფაქტებზე, არამედ მეორეხარისხოვან საკითხებზეც, როგორებიცაა - მოტივი და დამამძიმებელი ფაქტორები”, რომლებმაც შესაძლოა “დაბნეულობა გამოიწვიოს და არასამართლიანი ვერდიქტის” გამოტანამდეც მიიყვანოს და 3. რუსულ სასამართლოებში კითხვების ფორმულირების ერთიანი პრაქტიკის არ არსებობა.¹³⁰

45. პროფესიონალი მოსამართლეები თავადაც აცნობიერებენ ამ პრობლემას. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს საკასაციო საბჭოს თავჯდომარემ, ა. პ. შურიგინმა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა (ლებედევი, 2003 წელი: 584-85; შურიგინი, 1998a: 262-76):

რუსეთის ფედერაციის 9 რეგიონში ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემოღების პირველი წლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილის გაუქმება პროცესის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მოხდა [...], რომელმაც კითხვის ფორმულირება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ვერ შეძლო. შედეგად ნაფიცი მსაჯულები არ პასუხობდნენ კითხვებს ქმედების განხორციელების, ამ ქმედების ბრალდებულის მიერ ჩადენისა და მოგვერ ბრალდებულის ბრალის დამტკიცების შესახებაც.¹³¹

46. მოსამართლე შურიგინის არგუმენტები გვიჩვენებს, რომ როგორც პროფესიონალი მოსამართლეები, ასევე, არაპროფესიონალები პრობლემებს აწყდებოდნენ სპეციალური ვერდიქტებისთვის კითხვების ფორმულირებაში. მოსამართლეებისთვის, ნაფიცი მსაჯულებისა და სააპელაციო სასამართლოებისთვის მთავარ პრობლემას თავად სპეციალური ვერდიქტის სისტემა წარმოადგენდა, უფრო კონკრეტულად კი, მარტივი დამნაშავეობა-უდანაშაულობის კითხვის გარდა ნაფიცი მსაჯულებისთვის ბევრი დამატებითი კითხვის დასმა.

47. გასაკვირი არ არის, რომ რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის 20 წლიანი გამოცდილების შემდეგაც კი, მოსამართლეები კვლავ უშვებენ შეცდომებს კითხვების ფორმულირებისას და რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო აგრძელებს გამამართლებელი ვერდიქტების გაუქმებას კითხვებში მსგავსი შეცდომების არსებობის საფუძველზე.¹³²

¹³⁰ თამანი ს.ს. (1995). “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენა რუსეთში.” Stanford Journal of International Law, 31, 61-274, გვ. 114-123.

¹³¹ ლებედევი გ. მ (2003 წლის გამოცემა). მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. მოსკოვი: Spark, გვ. 584-585.

¹³² კოვალიოვი ნ. (2010). სისხლის სამართლის რეფორმა რუსეთში, უკრაინასა და ყოფილი საბჭოთა

48. უფრო მეტიც, ნაფიც მსაჯულთა პასუხების “ბუნდოვანებისა და ურთიერთგამომრიცხაობის” გამო, რუსი მოსამართლეები ხშირად ნაფიც მსაჯულებს უკან აბრუნებენ სათათბირო ოთახში “შეცდომების გასასწორებლად და პასუხების დასაზუსტებლად”. მიტერმაიერის თანახმად, რომლის ციტატა ზემოთ იყო მოყვანილი, ეს პრაქტიკა “აშინებს ნაფიც მსაჯულებს.”¹³³ ზოგიერთი ბრალდებული და ადვოკატი რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ამტკიცებს, რომ მოსამართლეები ნაფიც მსაჯულებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას აიძულებენ.¹³⁴

49. ამ ანალიზის ავტორის მიერ, 2004 წელს გამოკითხული მოსამართლეებიდან, ადვოკატებიდან და პროკურორებიდან 10-მა რესპოდენტმა - ხუთმა მოსამართლემ და ხუთმა პროკურორმა სპეციალური ვერდიქტის სისტემის გაუქმების სურვილი გამოთქვა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ნაფიცი მსაჯულებისთვის წარდგენილი კითხვები ხშირად “ძალიან რთული და გრძელი იყო”. საინტერესო კომენტარი გააკეთა მოსამართლემ, რომელმაც განაცხადა, რომ:

ჩამონათვალი ძალიან ბევრ კითხვას მოიცავს, რომლებიც ართულებს ნაფიც მსაჯულთა მუშაობას. ეს პრაქტიკა უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესაძლებლობას აძლევს კითხვების ბუნდოვანებისა და ურთიერთგამომრიცხაობის გამო.”¹³⁵

50. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ქართველმა კანონმდებლებმა უმჯობესია, შეინარჩუნონ არსებული ზოგადი ვერდიქტის სისტემა და არ მიიღონ შემოთავაზებული სპეციალური ვერდიქტის გამოტანის წესი.

51. არგუმენტი, თითქოს დაუსაბუთებელი ვერდიქტები ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევს, არადამაჯერებელია რამოდენიმე მიზეზის გამო:

52. პირველი - თითოეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის მთავარი მიზანია ბრალეულობის დადგენა. ცხადია, თუკი ნაფიცი მსაჯულები ბრალეულობის შესახებ კითხვას დადებითად უპასუხებენ, ისინი ეთანხმებიან, რომ ბრალდების მხარემ შეძლო როგორც ქმედების ჩადენის ფაქტის დადასტურება, ასევე ის, რომ ქმედების ჩამდენი ბრალდებული იყო სწორედ. ნამდვილად აბსურდული იქნება იმის დაშვება, რომ ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულებენ. ასევე, არალოგიკური იქნება იმის წარმოდგენა, რომ მსაჯულები მკვლელობაში დაადანაშაულებენ ბრალდებულს, თუკი სჯერათ, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას

კავშირის რესპუბლიკებში: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და შერეული სასამართლოები, Mellen Press, გვ. 454.

¹³³ მიტერმაიერი, შენიშვნა 27, გვ. 145.

¹³⁴ კოვალიოვი, შენიშვნა 32, გვ. 454.

¹³⁵ იქვე, გვ. 455.

ან უბედურ შემთხვევას.

53. მეორე - ბრალდებული, რომელსაც უფლება აქვს მისი საქმე პროფესიონალი მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისგან შემდგარმა სასამართლომ განიხილოს, ინფორმირებულია მისი ადვოკატის მიერ, რომ პროფესიონალი მოსამართლისგან განსხვავებით, ნაფიცი მსაჯულები საკუთარი ვერდიქტის დასაბუთებას არ წარმოადგენენ. თუკი ბრალდებულს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სასამართლოს ტიპი: ერთი პროფესიონალი მოსამართლისგან ან მოსამართლეთა ჯგუფისგან შემდგარი სასამართლო, რომელსაც კანონი ავალდებულებს წარმოადგინოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ან ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ვალდებულნი არ არიან დააკონკრეტონ საკუთარი ვერდიქტის საფუძვლები და როდესაც ბრალდებული აკეთებს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ არჩევანს, ნაფიც მსაჯულთა არჩევის შემთხვევაში მოგვიანებით ვერ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ დაირღვა მისი უფლება - მიეღო დასაბუთებული ვერდიქტი. ბრალდებული, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აირჩევს, ავტომატურად უარს ამბობს დასაბუთებული ვერდიქტის უფლებაზე. თუმცა, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ბრალდებული სარგებლობს ეფექტური გარანტიით, წარსდგეს სახალხო მსაჯულთა ჯგუფის (ნაფიცი მსაჯულები) წინაშე, რომლებიც უფრო დამოუკიდებელი არიან სახელისუფლებო ზეგავლენისგან, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლეები.
54. მესამე - შეიძლება ვიკამათოთ, რომ ნაფიცი მსაჯულები პასუხს არ აგებენ დაუსაბუთებელ გამამართლებელ ვერდიქტებზე. მართალია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ გამამტყუნებელ განაჩენზე ვრცელდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან მისი იურისდიქციის თანახმად, ბრალდებას ან დანაშაულის მსხვერპლს არ გააჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნის უფლება. მხოლოდ ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და ცხადია, ეს უკანასკნელი გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში ამას არ მოითხოვდა.
55. მეოთხე - როგორც განვიხილეთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად.
56. თბილისში, 2015 წლის 16 ოქტომბერს გამართულ მრგვალ მაგიდაზე მონაწილეებმა ორი განსხვავებული პოზიცია გამოთქვეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების წესთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ზოგიერთმა მონაწილემ მხარი დაუჭირა მთავრობის ინიციატივას სპეციალური ვერდიქტების შემოღების შესახებ. ეს მონაწილეები ჩვეულებრივ

კანონპროექტის ავტორების მიერ წარმოდგენილ საფუძვლებს იმეორებდნენ. მეორე მხრივ, სხვა მონაწილეები, მათ შორის არც მე ვეთანხმებოდი ხელისუფლების შემოთავაზებას. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკოსი მოსამართლეები არ ეთანხმებიან მთავრობის წარმოდგენილ ცვლილებას. ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ზოგადი ვერდიქტების არსებული წესი მარტივი და გამოსაყენებლად ადვილია როგორც მოსამართლეების, ასევე ნაფიცი მსაჯულებისთვის. მისი აზრით, შესაძლოა ნაფიცმა მსაჯულებმა სპეციალურ კითხვებსაც უპასუხონ, თუმცა ეჭვი შეიტანა იმაში, თუ რამდენად ინფორმირებული იქნება ეს პასუხები.¹³⁶ ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ “თუკი ამ ტიპის კითხვებს დავსვამთ”, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს და რომელიც სამართლებრივი განათლების გარკვეულ დონეს მოითხოვს, “ნაფიც მსაჯულთა 99% ვერ შეძლებს მათზე პასუხების გაცემას”.¹³⁷ მართლაც, არსებობს რისკი, რომ ნაფიცი მსაჯულები დაიბნევიან და ვერ შეძლებენ ეფექტურად უპასუხონ კითხვების ჩამონათვალს, რომლებიც მოიცავს ათობით ან ასობით არა ტექნიკურ კითხვას.

57. სპეციალური ვერდიქტის წესი გააკრიტიკეს, ასევე, ერთობლივ განცხადებაში, რომელიც ილიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევის ცენტრმა, სასამართლოს გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრმა და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა გააკეთეს 2015 წლის ოქტომბერში: “ვინაიდან ამ კითხვებზე პასუხების გაცემა სპეციალურ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მიგვაჩნია, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის გამოტანის შემოთავაზებული წესი გაუმართლებელია”. ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე უნდა მსჯელობდნენ, რომელიც მოგვიანებით მათი ვერდიქტის საფუძველი გახდება. თუმცა, კანონპროექტი გვთავაზობს პროცესს, რომელიც ნაფიც მსაჯულებს ძალიან გაურთულებს გადაწყვეტილების მიღებას უალრესად რთული კითხვარის გამო. თუკი ნაფიცი მსაჯულები პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილებას ისე იღებენ, რომ ზუსტად არ ესმით მათ მიერ გამოყენებული შეფასების სისტემის არსი, მაშინ მთლიანად პროცესი ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს.”¹³⁸

¹³⁶ ფონდ “ღია სამოგადოება - საქართველოს” მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა, 2015 წლის 16 ოქტომბერი, თბილისი.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ ილიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევის ცენტრის, სასამართლოს გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრის და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი განცხადება ნაფიც მსაჯულთა შესახებ დებულებებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, 2015 წლის 30 ოქტომბერი, იხ. ბმული http://nihr.freeuni.edu.ge/uploads/files/gantskhadeba_jury.pdf.

ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება

58. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის როგორც მოქმედი, ასევე შემოთავაზებული ფორმულირება უშვებს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას. კანონი გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას არ უშვებს. საქართველოს კანონი ძალიან ძლიერ გარანტიებს გვთავაზობს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტის გაბათილების კუთხით. შემოთავაზებული კანონპროექტი დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის მიღებისაგან დაცვის მექანიზმებს უზრუნველყოფს. კერძოდ, კანონპროექტის 226-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიღების შემთხვევაში, დაცვის მხარეს უფლება ექნება გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი ზოგადი წესების თანახმად, თუკი ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებას, დაუსაბუთებელია და მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთი გზა გამამტყუნებელი განაჩენის გაბათილებაა. ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ ამ დებულებასთან მიმართებაში შეშფოთება გამოთქვა. მაგალითად, ილიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევის ცენტრმა, სასამართლოს გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრმა და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა, 2015 წლის ოქტომბერში გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში განმარტეს, რომ “ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაბათილების პროცესი ბუნდოვანია”. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლში შესატანი ცვლილებების თანახმად, დაცვის მხარეს უფლება აქვს ეჭვქვეშ დააყენოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება, თუკი ვერდიქტი ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას. არც შემოთავაზებული კანონპროექტი და არც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისგან განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდნენ მიღებულ გადაწყვეტილებამდე. შესაბამისად, ბუნდოვანია, როგორ შეიძლება გადაწყვეტილების გაბათილება ამ საფუძველით.”¹³⁹ ქართველი კოლეგებისაგან განსხვავებით, მე არ მიმაჩნია, რომ კანონპროექტის ეს დებულება არ უნდა იქნას მიღებული. პირიქით, ჩემი აზრით, ეს დამატებითი გარანტი იქნება მართლმსაჯულების პროცესში შეცდომების დაშვების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ნაფიც მსაჯულს გამოაქვთ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც არ არის გამყარებული მტკიცებულებით. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოასწოროს ნაფიც მსაჯულთა მიერ

¹³⁹ ილიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევის ცენტრის, სასამართლოს გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრის და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი განცხადება ნაფიც მსაჯულთა შესახებ დებულებებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, 2015 წლის 30 ოქტომბერი, იხ. ბმული http://nihr.freeuni.edu.ge/uploads/files/gantskhadeba_jury.pdf.

დაშვებული შეცდომა და გააბათილოს გამამტყუნებელი განაჩენი. ეს პრინციპი ასევე შეესაბამება კონტინენტური სამართლის უმეტეს ქვეყნებში აღიარებულ სტანდარტებს და წესებს

საბოლოო რეკომენდაციები:

59. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულები არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ დანაშაულთა მცირე რაოდენობით. სასურველია, რომ საქართველოს მთავრობამ ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციას დაუქვემდებაროს ყველა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც ისჯება 5 წელზე ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთით, ასევე პოლიტიკური და მასშედიასთან დაკავშირებული დანაშაულები;
60. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის არსებული ფორმულირება, რომელიც პოლიციის ოფიცრებს, გამომძიებლებს, ადვოკატებს, ფსიქოლოგებს და ფსიქიატრებს არ აძლევს უფლებას გახდნენ ნაფიცი მსაჯულები, უნდა შენარჩუნდეს;
61. უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226(2)-ე მუხლის მოქმედი ფორმულირება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას დაესწროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს;
62. სასურველია მიღებული იქნას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობაზე უარის თქმის შემოთავაზებული ფორმულირება. თუმცა, უნდა შეიცვალოს 226(2) მუხლის ფორმულირება და დაემატოს, რომ მოსამართლეს შეუძლია დათანხმდეს ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აცილებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დარწმუნდება, რომ ბრალდებულს შესაძლებლობა ჰქონდა ეს საკითხი ადვოკატთან განეხილა;
63. უნდა შენარჩუნდეს ზოგადი ვერდიქტის მიღების სისტემა, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.
64. სასურველია, მიღებულ იქნას ცვლილება, რომელიც უფლებას მისცემს ადვოკატს გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუკი ეს განაჩენი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, დაუსაბუთებელია და მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთი გზა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებაა.

საქართველოს ადამიანის
უფლებათა ქსელი (GNHR)

✉ geonet_hr@yahoo.com

🌐 www.gnhr.ge